88 წელი თქვენთან ერთად!

88 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი● გამოდის 1933 წლიდან ● №21-22 (7051) 16 ნოემბერი 2021 წელი ● www. Terjola. gov. ge

კორონავირუსი გვიტევს!

ოფიციალურად გამოქვეყნებული ინფორმაციით, საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან მიმდინარე წლის 8 ნოემბრამდე, ვირუსით ინფიცირების 755 046 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 693 129 პირი გამოჯანმრთელდა, გარდაცვლილია 10 509 ადამიანი.

ამ დროისათვის კარანტინში იმყოფებოდა 46 ადამიანი, კლინიკურ სასტუმროებში - 1 302 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ - 6 916 პირი.

სამწუხაროდ, 8 ნოემბრის შემდეგ ქვეყანაში კიდევ უფრო იმატა ყოველდღიურად გარდაცვლილთა რიცხვმა და მან სამოცდაათსაც კი გადააჭარმა...

რამდენიმე დღის წინ უწყებათაშორი საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი ხელმძღვანელობს თავის მორიგ სხდომაზე „მწვანე პასპორტის“ კონცეფციის მოქმედების არეალის გაფართოებასა და ვაქცინაციის წამახალისებელ სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით, ახალი გადაწყვეტილებები მიიღო.

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დღეიდან, 200-ლარიან ერთჯერად საპენსიო დანამატს მიიღებს თითოეული პენსიონერი, რომელიც ვაქცინაციას 2022 წლის 1-ელ იანვრამდე ჩაიტარებს; დანამატი გაიცემა პირველი აცრის გაკეთების შემდეგ.

ამასთან, 1-ლი დეკემბრიდან ამოქმედდება ე.წ „მწვანე პასპორტის“ კონცეფცია. პირს მწვანე სტატუსი აქვს, თუ იგი ვაქცინირებულია სრულად, ჩატარებული აქვს 72-საათიანი ვალიდურობის PCR-ტესტი ან 24-საათიანი ვალიდურობის ანტიგენ-ტესტი, ან გადატანილი აქვს კორონავირუსი. „მწვანე პასპორტის“ მოთხოვნა იმოქმედებს 18 წლის ასაკის ზემოთ მოქალაქეებისთვის.

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1-ლი დეკემბრიდან მოქალაქეები მხოლოდ და მხოლოდ „მწვანე პასპორტის“ პრინციპით შეძლებენ შესვლას: კვების ობიექტების, რესტორნების, კაფეების და ბარების ღია და დახურულ სივრცეებში, კინოთეატრებში, თეატრებში, ოპერაში, მუზეუმებში, საკონცერტო დარბაზებში, გასართობ ცენტრებში, სამორინეებსა და სათამაშო ბიზნესის ობიექტებზე, სპა-ცენტრებში, ფიტნეს-დარბაზებში, სასტუმროებში და ასევე სამთო კურორტების - საბაგირო გზებზე; აღნიშნული მოთხოვნა გავრცელდება ჩამოთვლილი ობიექტების სტუმრებზე. რაც შეეხება საბავშვო-გასართობ ცენტრებს, „მწვანე პასპორტის“ მოთხოვნა იმოქმედებს მხოლოდ 18 წლის ასაკს ზემოთ მოქალაქეებისთვის.

პრემიერ-მინისტრის დავალებით, კიდევ უფრო აქტიური გახდება იმუნიზაციის კამპანია და საქართველოს მასშტაბით, ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართება ვაქცინაციის სააგიტაციო ღონისძიებები.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო კიდევ ერთხელ მიმართავს მოქალაქეებს, აქტიურად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში, ატარონ პირბადე და დაიცვან სოციალური დისტანცია, გაუფრთხილდნენ საკუთარ და ახლობლების ჯანმრთელობას!

აიცერი!
ატარე პირბადე!
დაიცავი დისტანცია!

სკოლის ახალი შენობა, საპატიო სტუმრები და საჩუქრები...

☞2

დამსახურებული ჯილდოები

24 ოქტომბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტში წარჩინებულ კურსდამთავრებულთა დაჯილდოება გაიმართა. 2018-2019 წლებში კურსდამთავრებულ თერჯოლელ ახალგაზრდებს კოვიდპანდემიის გამოისობით სწავლაში მოპოვებული წარმატებისათვის დამსახურებული ჯილდოები ორი წლის შემდეგ გადაეცათ.

☞2

გაკეთებული საქმეც ბევრია და გასაკეთებელიც, არის მზადყოფნაც...

☞3

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების სამუშაოები ფინიშის სწორზე გავიდა...

☞3

ჩვენი სოფელი...

ზრუნვისა და დახმარების იმედით

☞4



ქვეყნის მომავალი ახალგაზრდობამ უნდა შექმნას...

სკოლის ახალი შენობა, საპატიო სტუმრები და საჩუქრები...

ჩვენი გაზეთის მკითხველები კარგად არიან ინფორმირებულები სოფელ ზედა საზანოს საჯარო სკოლის მეორე კორპუსის რეაბილიტაციის თაობაზე. სკოლა ექსპლოატაციაში ახალი სასწავლო წლისათვის შევიდა.

შენობა, რომ იტყვიან გულს ახარებს. აქ ყველა პირობაა შექმნილი ეფექტური სწავლა-აღზრდისათვის. სკოლა მცირეკონტიგენტიანია და 60 მოსწავლეზეა გათვლილი. თავის პირველ სასწავლო წელს აქ 29 მოსწავლე მიიღეს.

ამ დღეებში სკოლას სოფლის მკვიდრი, საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე სოსო გიორგაძე მუნიციპალიტეტის მერთან, ლაშა გოგიაშვილთან ერთად ეწვია. სტუმრებმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერეს ფაქტიურად ახლადაშენებული სკოლის კორპუსი, რომელიც ამასთან ერთად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, აღჭურვილია ახალი ინვენტარითა და ტექნიკით, ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნით.

„საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ჩვენი გუნდის მთავარი პრიორიტეტია. ზედა საზანოს საჯარო სკოლის ახალი კორპუსი, ყველა მოთხოვნას და სტანდარტს აკმაყოფილებს, ასევე დაცულია ყველა რეკომენდაცია, რაც აუცილებელია კორონავირუსის პრევენციისა და ჩვენი მოსწავლეების უსაფრთხოებისთვის. მოსწავლეები კეთილმოწყობილ, ადაპტირებულ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სკოლებში გააგრძელებენ სწავლას და ეს არის უდიდესი ინვესტიცია, რომელიც ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების სწავლისა და განვითარების საქმეშია ჩადებული“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

თავის მხრივ კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ, სოსო გიორგაძემ პირადი ინიციატივით, სკოლას საჩუქრად სპორტული ინვენტარი გადასცა და მომავალ თაობას წარმატებები უსურვა.

სკოლის სამშენებლო სამუშაოები საქართველოს მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა.

P.S. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში თერჯოლაში 3 ახალი სკოლა აშენდა. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 სკოლას და მიმდინარეობს კიდევ 2 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

თერჯოლის მერიის ინიციატივით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ყველა საჯარო სკოლაში მცირემასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა საკლასო ოთახებს, რეაბილიტირდა ავარიული სახურავები, მოეწყო ადაპტირებული სველი წერტილები და სპორტული დარბაზები.

დამსახურებული ჯილდოები

24 ოქტომბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტში წარჩინებულ კურსდამთავრებულთა დაჯილდოება გაიმართა. 2018-2019 წლებში კურსდამთავრებულ თერჯოლელ ახალგაზრდებს კოვიდპანდემიის გამოისობით სწავლაში მოპოვებული წარმატებისათვის დამსახურებული ჯილდოები ორი წლის შემდეგ გადაეცათ.

მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა ახალგაზრდებს, ოქროსა და ვერცხლის მედლები საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარესთან, სოფო ბუსკივაძესთან და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან, ქეთევან შეყრილაძესთან ერთად გადასცა და კურსდამთავრებულებს სამომავლოდ დიდი წარმატებები უსურვა.

„ძალიან სასიამოვნოა, როდესაც თერჯოლაში ამდენ ნიჭიერ და მიზანსწრაფულ ახალგაზრდას ვხვდები, მახარებს მათი წარმატება და სწავლისადმი სიყვარული, მათ უკვე იციან შრომის ფასი და მჯერა, რომ მომავალში კიდევ უფრო დიდ წარმატებას მიაღწევენ“—განაცხადა **ლაშა გოგიაშვილმა.**

იმავე დღესვე, მედალოსანთა დაჯილდოების შემდეგ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პატრონაჟით მუსიკალურ-საგანმანათლებლო პროექტი გაიმართა.

ღონისძიების ფარგლებში სტუმრებმა მოისმინეს ზაზა მარჯანიშვილის მასტერკლასი „მუსიკის როლი კინემატოგრაფიის განვითარებაში“.

აქტივობის მიზანია ხელი შეეწყოს ჯაზის პოპულარიზაციას, მუსიკოსთა შორის გამოცდილების გაზიარებას და სამომავლოდ თანამშრომლობის გაღრმავებას.

ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, კულტურის სახლის თანამშრომლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ვიდრე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში 2018-2019 წლებში წარჩინებულ კურსდამთავრებულებს კიდევ ერთხელ წარმოგიდგენთ, გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი და განსაკუთრებული ფაქტის შესახებ. 2018-2019 სასწავლო წელს საშუალო სკოლები სულ დაამთავრა 294 თერჯოლელმა ახალგაზრდამ, აქედან 45-მა წარჩინებით, რომელთა შორის ექვსია ვერცხლის მედალოსანი, 39 კი ოქროს გოგო-ბიჭებია, სწორედ ისინი დააჯილდოვა მუნიციპალიტეტის მერმა გასულ თვეში.

კიდევ ერთხელ... აი, ისინი, ვინც წარჩინებით დაამთავრა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლები 2018-2019 სასწავლო წელს...

თერჯოლის №1 საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: სალომე გეწაძე, სალომე გეწაძე, დავით დევიძე, ემიკო თავიდაშვილი, თამარ ლილუაშვილი, ქეთევან ლუტიძე, მარიამ მორალიშვილი, ნინო ნეფარიძე, მარიამ ნიკოლაძე.

თერჯოლის №2 საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: მარიამ მემანიშვილი, მარიამ ძოწენიძე.

ალისუბნის თემის №1 საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი მურთაზ ბოჭორიშვილი.

ახალთერჯოლის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: ქეთევან აბჟანდაძე, ზურაბ დიაკონიძე.

ზედა საზანოს საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი რუსუდან ჭანტურიძე.

ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: ანი თორთლაძე, ხათუნა სულამანიძე. ვერცხლის მედალოსანი: ლია აბჟანდაძე.

თუზის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: მარიკა კუპატაძე, ვიკა მაჩიტიძე, ნანა შეყრილაძე, ანა ცხოვრებაძე.

სიქთარვის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: ანა ბუბაშვილი, ლანა კვატაია.

ქვ. სიმონეთის №1 საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: დავით ლიკლიკაძე, იური ქართველიშვილი, ჯუმბერ ღვინეფაძე.

ქვედა სიმონეთის №2 საჯარო სკოლა. ვერცხლის მედალოსნები: თამრიკო ცირეკიძე, თინიკო ცირეკიძე, მარი ჭუმბურიძე.

ღვანკითის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი: თინათინ ქარქაშაძე.

ჭოგნარის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: ნინო კობახიძე, ანი ჟორჟოლიანი, ნათია სვინტრაძე.

ჩხარის №1 საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: ანნა კორტი, ელენე ნიქიბიშვილი.

ძევრის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსანი: ანა ქოჩიაშვილი.

ნაგარევის საჯარო სკოლა. ოქროს მედალოსნები: ნინო მარგველაშვილი, სალომე ცქიფურიშვილი, გიორგი ხუჯაძე.

რუფოთის საჯარო სკოლა. ვერცხლის მედალოსნები: გალაქტიონ გოგიაშვილი, ბესარიონ ფხალაძე.

მზეკაბანი-2007. ოქროს მედალოსნები: ანნა გოგავა, ლანა ზარნაძე, დაიანა სახეჩიძე.

კიდევ ერთხელ ჩვენი მხურვალე აპლოდისმენტები მათ და მათ აღმზრდელ-პედაგოგებს, მშობლებს!..

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების სამუშაოები ფინიშის სწორზე გავიდა...

ფინიშის სწორზე გავიდა ანუ დასკვნით ფაზაშია თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე წლის ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშაოები, რაც მათ მიმდინარეობაზე მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, პირადად მერის და მერის მოადგილეების მიერ ეფექტური ზედამხედველობისა და რეგულარული ყურადღების შედეგია. ინფრასტრუქტურული პროექტების—განსაკუთრებით ქალაქ თერჯოლაში და მუნიციპალიტეტის სოფლებში, მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების სამუშოების ზედამხედველობაში, ასევე აქტიურად არიან ჩართულები ადგილებზე მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები.

როგორც წესი, ასეთი ზედამხედველობა უპირატესად ადგილებზე ჩასვლით, მიმდინარე სამუშაოების გაცნობის გზით ხდება.

მორიგი ასეთი გასვლა მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ქალაქ თერჯოლასა და სოფელ ზედა სიმონეთში გააკეთა.



ქალაქ თერჯოლაში, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ვ. ხუხუნაიშვილის ქუჩაზე არსებული საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში ეწყობა; არმირებული ბეტონის საფარი, სანიაღვრე არხები, ცხაურები და ეზოებში მისასვლელები. სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „გი-ან 2011“ ასრულებს.

სოფელ ზედა სიმონეთში კი აგვისტოს ომში დაღუპული გმირის, ალია ბარდაველიძის სახელობის მემორიალის სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში აქ მოეწყობა მცირე მოსასვენებელი ადგილები, განთავსდება ფანჩატური, საპარკე სკამები და ურნები, ასევე დაიდგმება საბავშვო ატრაქციონი. სამშენებლო სამუშაოებს, ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მშენებელი-2017» ასრულებს.

ორივე ობიექტზე მერმა, თანხლებ პირებთან ერთად, დეტალური ინფორმაცია მიიღო პროექტის ხარისხიანად განხორციელებასა და ვადების დაცვის თაობაზე. ორივე ობიექტი მიმდინარე წელს დასრულდება.

შეგახსენებთ, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტში ბოლო პერიოდში 7 სკვერი და მემორიალი რეაბილტირდა, მათ შორის დასკვნით ეტაპზეა სოფელ ჩხარში ცენტრის კეთილმოწყობის სამუშაოები, რაზედაც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით.

გაკეთებული საქმეც ბევრია და გასაკეთებელიც, არის მზადყოფნაც...

ადგილობრივი თვითმმართველობის 2 ოქტომბრის არჩევნების გამო მუნიციპალიტეტის მერს, ლაშა გოგიაშვილს, რომელიც განმეორებით იყრიდა კენჭს მუნიციპალიტეტის მერის თანამდებობაზე, საარჩევნო საკანონმდებლო შეზღუდვების გათვალისწინებით უფლება არ ჰქონდა შეესრულებინა მერის უფლება-მოვალეობები, რაც ასეც მოხდა. ბუნებრივია, საარჩევნო პერიოდში, მას მერიის თანამშრომლებთან არც სამუშაო თათბირ-შეხვედრები ჩაუტარებია...

ბუნებრივია, რომ ამ დროის მანძილზე ერთმანეთისათვის

სათქმელ-მოსათხრობიც ბევრი დაგროვდა, ეს კარგად გამოჩნდა კიდეც იმ გაფართოებულ თათბირზე, რომელიც არჩევნების შედეგების საბოლოო შეჯამებიდან რამდენიმე დღის შემდეგ შეიკრიბა მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში.

ეს სამუშაო თათბირი მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა მოადგილეების მანუჩარ რობაქიძისა და მირზა ქოჩიაშვილის მონაწილეობით გამართა.

თათბირის ყველა მონაწილემ, მერიის სამსახურებისა და განყოფილებათა უფროსებმა, ა(ა)იპების ხელმძღვანელებმა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლებმა, დაწვრილებითი ინფორმაციები გააკეთეს ადგილებზე არსებული მდგომარეობის შესახებ, დაყენეს გარკვეული საკითხები, უპასუხეს მერის შეკითხვებს და მიიღეს კონკრეტული დავალებები.

ლაშა გოგიაშვილმა შეხვედრაზე ისაუბრა მუნიციპალიტეტში მიმდინარე და განსახორციელებელ პროექტებზე. ხაზი გაუსვა ზედამხედველობის სამსახურის სამოქმედო გეგმას, ასევე ინფრასტრუქტურულ, სოციალურ, კულტურულ და ახალგაზრდული პროექტების განხორციელებას და შესაბამის სამსახურებს მოუწოდა ამ მიმართულებით ეფექტურად გააგრძელონ მუშაობა.

„პირველ რიგში, მინდა მადლობა გადაგიხადოთ გამოცხადებული ნდობისა და მხარდაჭერისთვის. როგორც მერმა, როგორც თერჯოლელმა ვიცი ყველა ის გამოწვევა, რომლის წინაშეც დგას დღეს ჩვენი მუნიციპალიტეტი. მწამს და მჯერა, რომ ამ გამოწვევებს ღირსეულად გავუმკლავდებით და წარმატებით განვახორციელებთ მუნიციპალიტეტში დაწყებულ პროექტებს. ჩვენი ერთობლივი მუშაობა, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში იქნება წარმატებული, საქმიანი და ნაყოფიერი. მზად ვარ თქვენთან ერთად ღირსეულად გავაგრძელო ჩვენი თერჯოლის განვითარება“—განაცხადა ლაშა გოგიაშვილმა.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა თათბირზე ხაზ-

გასმით ისაუბრეს კოვიდ პანდემიის მიმართულებით თერჯოლაში არსებულ მდგომარეობაზე, მისი მართვის პროცესისა და ეპიდვითარების სტაბილიზაციის თვალსაზრისით თანამშრომლებს მაქსიმალური სიფრთხილისა და რეგულაციების დაცვისაკენ მოუწოდეს.

ბავშვობის ოცნება ახდა

ძვირფასო მკითხველო, ბავშვობიდან ვოცნებობდი—დილით რომ გავიღვიძებდი და სახლიდან ქუჩაში გამოვიდოდი, კარგი გზა მქონოდა, რომ ტალახში და დანგრეულ გზაზე არ მევლო. როდესაც გავიზარდე ყოველთვის ვბრძოლობდი ასეთი გზისთვის. თითქმის ყველა ხელისუფლების დროს მივდიოდი ადგილობრივ მერიაში და ჩემი უბნის გასაჭირს—გზის გაკეთებას ვთხოვდი, მაგრამ უშედეგოდ მთავრდებოდა ყოველთვის.

და ახლა, როცა უკვე შუა ხნის ასაკს მივაღწიე, ჩემი შვილიც იგივეს ნატრობდა.

ერთი ძალიან წვიმიანი ღამის შემდეგ, როცა უბანში გამოვედი და მთელი გზა ჩაქცეული დამხვდა, იმედი აღარც მქონდა რომ ვინმესთვის მიმემართა, მაგრამ ჩემი ოჯახის შეგულიანებით, გავეშურე მერიაში, ქალაქის მერთან, ბატონ ლაშა გოგიაშვილთან შესახვედრად, თან წავიყვანე გვერდით მცხოვრები მეზობელი.

ბატონ ლაშას ავუხსენით ჩვენი უბნის გასაჭირი. მან ყურადღებით მოგვისმინა და გულთან მიიტანა ჩვენი პრობლემები. დაგვპირდა, რომ გზა გაკეთდებოდა. მან დაპირება აასრულა და ჩვენს უბანს ამშვენებს ლამაზი გზა და განათებები.

უსაზღვროა ჩემი და ჩემი ოჯახის მადლიერება და სიხარული.

უღრმეს მადლობას ვუხდით თერჯოლის მუნი-ციპალიტეტის მერს, ბატონ ლაშა გოგიაშვილს და მის გუნდს ამ საშვილიშვილო საქმის გაკეთებისთვის და ვუსურვებთ წარმატებებს ჩვენი პატარა ქალაქის აღმშენებლობისთვის.

პატივისცემით,
პაატა ხარაზოვი

ჩვენი სოფელი...

ზრუნვისა და დახმარების იმედით



ეწერი იმ სოფლების რიცხვშია, რომლებიც ფეხს გაბედულად უწყობენ ახალი, საბაზრო ეკონომიკის პირობებს. არჩევნებიდან-არჩევნებამდე აქ ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა, როგორც ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, ისე მცხოვრებთა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად.

ადრეულ წლებში (საბჭოური პერიოდი მაქვს მხედველობაში) მიწევდა ხოლმე ამ სოფლებში წასვლა. სიხარულით მივდიოდი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ვიცოდი ნაკლოვანებებზე მეტად დადებით მაგალითებზე დამჭირდება წერა მოხსენებით ბარათში, მეორეც—უპურმარილოდ ფეხს არ გამოგადგმევინებდა არავინ. მესამე იყო და ისეთი შეწყობილი გუნდი ჰყავდათ ადმინისტრაციაში, მათი სიმღერების მოსმენას არაფერი სჯობდა. „შაშვი კაკაბი შეიბნენ“... უყვარდათ ძალიან, სხვა ძველი, მამა-პაპური სიმღერები. ემღერებოდათ და მღეროდნენ, ასეთი, ეკონომიკურად ძლიერი სოფელი მეორე არ იყო რაიონში. ეწრელი მეზვრე-მევენახეები, მეჩაიეები თუ მეცხოველეები, მოწინავე პოზიციებზე იყვნენ ყოველთვის.

ახალი ცხოვრების შენების კვალობაზე გაუჭირდა ქვეყანას და გაუჭირდა სოფელსაც. არადა ქვეყანა მაშინაა ძლიერი ეკონომიკურად, როცა აქვს მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა და შეძლებული სოფელი.

დღეს ეწრელებს იგივე ტკივილი და საწუხარი აქვთ, რაც მთლიანად სახელმწიფოს, იგივე სიხარული, რაც თითოეულ ქართველს, მაგრამ იმედს აძლევთ ის ზრუნვა და დახმარება, რომელსაც იჩენს ხელისუფლება ყველა დონეზე სოფლის აღორძინების, სოფლის მცხოვრებთა

პრობლემების თანმიმდევრულად გადაჭრისათვის.

მოქმედებაშია ინფრასტრუქტურული პროექტები, სოფლის დახმარების პროგრამა, პროექტი „აწარმოე საქართველოში“ და ა.შ. აღსანიშნავია, რომ არჩევნებიდან არჩევნებამდე პერიოდში აქ გზაც მოეწყო და კვალიც, გაიმართა სარწყავი სისტემა, რომლითაც სოფლის რამოდენიმე უბანი უზრუნველყოფილი იქნა ტექნიკური წყლით. მნიშვნელოვნად გაიზარდა შეჭირვებულ მცხოვრებთა შემწეობა-დახმარებები...

გვქონდა საშუალება გავსაუბრებოდით ეწერში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს მიხეილ ქამუშაძეს, რომელსაც მისხალ-მისხალ აქვს აღნუსხული განვლილ ოთხწლეულში გაკეთებულ-მოგვარებული საქმეები. აი, ისიც:

2018 წელს სახელმწიფო დაფინანსებით კეთილმოეწყო სოფლის ცენტრალური გზის 1,5 კმ-იანი მონაკვეთი. გზაზე დაგებული იქნა ასფალტი. ამავე წელს კაპიტალურად შეკეთდა სოფელში არსებული 3 კმ-იანი გზის მონაკვეთი. სოფელში შემოიზიდა ინერტული მასალა (მთის ქანი)—45 მ. კუბი—სოფლის შიდა გზებზე და დაპროფილდა გრეიდერით.

სოფელში საჭირო ადგილებზე მოეწყო სანაგვე ურნები და მერიის კომუნალური სამსახურის დახმარებით დაიწყო საყოფაცხოვრებო ნარჩენების ორგანიზებული გატანა. ამით ძირეულად გაუმჯობესდა ეკოლოგიური ვითარება.

2019 წელს სოფლის სხვადასხვა უბნებში გაიწმინდა სანიაღვრე არხები 1,5 კმ-ის სიგრძეზე, მოეწყო გარე განათება სოფლის ცენტრალურ გზაზე. საუბნო გზებზე შემოიზიდა და დაპროფილდა მთის ქანი 50 მ.კუბის მოცულობით.

სახელმწიფო დაფინანსებით მოეწყო საჯარო სკოლის პირველი სართულის კორიდორი და საკლასო ოთახები.

2020 წელს მერიის დაფინანსებით სოფლის ცენტრალურ 3 კმ-იანი გზის მონაკვეთზე მოხდა ორმული დამუშავება (დაკერვა). შემოიტანეს და დაპროფილდა 60 მ. კუბის მთის ქანი.

ეწრის საჯარო სკოლაში მოეწყო სველი წერტილები, სოფლის პროგრამით ახალუბანში მოეწყო გარე განათება 48 წერტილით, რაზეც დაიხარჯა 12000 ლარი. გაგრძელდა გარე განათება ცენტრალურ გზაზე 30 წერტილზე. სოფლის დახმარების პროგრამით რობაქიძეების უბანში გაკეთდა ბეტონის 60 გრძივი მეტრი გზის მონაკვეთი, ბეტონისავე სანიაღვრე არხებით.

სოფლის დახმარების პროგრამით მოხდა ეწრის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა. შემოირაგვა ეზო 150 გრძივ მეტრზე.

მერიის დაფინანსებით მოეწყო უკლებები-ბუცხრიკიძეების უბანში ტექნიკური წყლის სისტემა, რომელიც გამოიყენება სათბურების მოსარწყავად და სხვა დანიშნულებით.

2021 წელს—სახელმწიფოს დაფინანსებით შეიცვალა სოფლის საჯარო სკოლის სახურავი მთლიანად თუნუქის სახურავით. შეიცვალა საკლასო ოთახების კარებები.

შემოიზიდა მთის ქანი სოფლის შიდა გზებზე. 50 მ.კუბის მოცულობით და დაპროფილდა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ახალუბანში გზის ორ მონაკვეთზე სულამანიძეების და ბარდაველიძეების უბანში, მოეწყო ბეტონის საფარი 100 გრძივი მეტრზე—თანხით 12000 ლარი.

მოეწყო არაბიძეების უბანში გზის მონაკვეთი ბეტონის საფარით 50 გრძივ მეტრზე, თანხით 6500 ლარი, გაკეთდა ბერუაშვილების უბანში სასმელი წყლის ჭა, თანხით—5500 ლარი.

სკოლის უბანში მოეწყო ცხაური ორ მონაკვეთზე თანხით-3000 ლარი. პატარიძეების უბანში—გარე განათება თანხით 3000 ლარი.

სოფლის დახმარების პროგრამით საბავშვო ბაღის ეზოში გაკეთდა ბეტონის ბილიკი, თანხით 2000 ლარი.

სოციალური დახმარების პროგრამების კუთხით სოფლის 645 მცხოვრებს გაეწია 108 615 ლარის დახმარება. მათ შორის:

მედიკამენტებისათვის—45 პირზე გაიცა 7281 ლარი;

სურსათზე—171 პირს 8990 ლარი;

სახლდაზიანება—12 პირს 5900 ლარი;

უსინათლოებს—7 პირს 2040 ლარი;

ფინანსური—248 პირს 34 790 ლარი;

ეპილეფსია—15 პირს 2140 ლარი;

უმწეოებს—5 პირს 2500 ლარი;

დიალიზი—1 პირს 1800 ლარი;

ახალშობილებს—35 პირს 8650 ლარი;

დიაბეტი ფენილკეტონურია—1 პირს 500 ლარი;

თანადაფინანსება—98 პირს 32930 ლარი;

ბინის ქირა—1 პირს 900 ლარი;

მარტოხელა მშობელს—3 პირს 690 ლარი;

როგორც ბატონ მიხეილს, ისე სოფლის მცხოვრებლებს აქვთ დიდი იმედი იმისა, რომ ახალ საარჩევნო პერიოდში სოფლისადმი მხარდაჭერა და დახმარებები ყველა კუთხით კიდევ მეტად გაიზრდება.

აღსანიშნავია, რომ შედგენილია პროექტი და ახლო მომავალში დაიწყება სარწყავი სისტემის 3 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის მერის მხარდაჭერით სოფელში მოეწყობა საჭიდაო დარბაზი, რომელიც ეჭვი არაა ხელს შეუწყობს, სოფლად იმედის მომცემი სპორტსმენების გამოვლენას, ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესით აღზრდას.

ელგუჯა ბიწაძე: შპს „ანდიტრის“ ხელმძღვანელი:

ჩვენი სოფელი ეწერი, ერთ-ერთი ძლიერი და შეძლებული სოფელი იყო არა მარტო რაიონში, არამედ რეგიონში.

ეკონომიკური თვალსაზრისით სოფელი ახლა „ნაშთია ძველი დიდებისა“, აღარც ეწრელი მეჩაიეების ნობათი ჩანს და არც „ღელაბოძელას“ ზვრების ბარაქა, მაგრამ მჯერა მოვა დრო, როცა სოფელი კვლავ იტყვის თავის ღირსეულ სიტყვას რაიონის ეკონომიკაში. პირადად ძმასთან ერთად ვცდილობ პატარა წვლილი შევიტანო ამ საშურ საქმეში. ჩვენი შპს „ანდიტრი“ მეჩაიეობის კუთხითაა დასპეციალებული. არაა პატარა საქმე, რომ ჩინეთში, მსოფლიოს ამ ზესახელმწიფოში, სადაც ჩაის კულტურა რელიგიურ დონეზეა აყვანილი, ჩვენს მიერ წარდგენილმა პროდუქციამ ნომინაციაში „იშვიათი არომატი“ პირველი ადგილი დაიკავა, გურიაში, რომელიც უპირველესი რეგიონი იყო და არის რესპუბლიკაში „სიცოცხლის ელექსირის“ წარმოებაში, გრანპრი დავიმსახურეთ.

ე.წ. ველური ჩაის ნედლეულს ძველი, გაველურებული ფართობებიდან ვიწევთ. მათ მოვლა, განახლება და გაკულტურება სჭირდება. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს, რაც მალე მიეხედება მით უკეთესი იქნება, სოფლისა და მთლიანად მუნიციპალიტეტის ეკონომიკისათვის.

სამადლობელი სტრიქონები

ამ შეჭირვებულ დროში, როცა კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო დაამძიმა ცხოვრება, განსაკუთრებულად სასიხარულოა სოფლისათვის დახმარების ხელის გაწვდენა. სხვა სასიკეთო საქმეებთან ერთად მეტად გვახარებს ის, რომ ჩვენს უბანში გაკეთდა და დღემდე შეუფერხებლად მუშაობს ტექნიკური წყლის მიწოდების სისტემა.

ასეთი, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი, პრობლემის მოგვარებისთვის მადლიერი ვართ მუნიციპალიტეტის მერიის, პირადად მერის ლაშა გოგიაშვილისა.

ღმერთმა ყველა კეთილ საქმეში ხელი მოუმართოთ.

ბუცხრიკიძეებისა და უკლებების უბნის მცხოვრებნი:
ილო, ბადრი ბუცხრიკიძეები, გოგი, ემზარ, გია უკლებები

მძიმე ავადმყოფობამ დამრია ხელი. ღვთის მადლით გამომიჩნდნენ მზრუნველი ადამიანები. მადლობა სოფლის თავკაცს ბატონ მიხეილ ქამუშაძეს, რომ რაიონის ხელისუფლებამდე მიიტანა ჩემი სატკივარი. კიდევ უფრო დიდი მადლობა მერიას მკურნალობაში გაწეული დახმარებისათვის—ფინანსურად და თანადაფინანსებით.

ოქსანა მარტიროსოვა,
სოფელ ეწრის მცხოვრები

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, კოვიდი და ჩვენ...

სკოლა ერთ ცვლაშია, პრობლემა არ იქნება

ახალთერჯოლის საჯარო სკოლა ახალ სასწავლო წელს შეხვდა მოწესრიგებული. სკოლაში არის 15 საკლასო ოთახი. თითოეულის ფართი არის 30-34 კვადრატი. კლასში საშუალოდ 5-6 მოსწავლეა, მაქსიმალურია 10 მოსწავლე (მე-9 კლასში). ამ ეტაპისთვის სკოლაში 62 მოსწავლე აღირიცხება.

სკოლაში დაცულია კოვიდრეგულაციები:

სკოლის შენობაში შესვლა მასწავლებლების, თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის დასაშვებია მხოლოდ პირბადით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით—დამცავი ფარი / დამცავი სათვალეები, ბახილები, ხალათები;

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი ატარებს თერმოსკრინინგს, უკეთია პირბადე და იცავს 1 მეტრიან დისტანციას;

თერმოსკრინინგისას ცხელების - 37^{0}C ან 37^{0}C -ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება ტემპერატურის გადამოწმებას ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15 წუთიან შუალედში, საიზოლაციო ოთახში; დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) პირების (მასწავლებლების, თანამშრომლებისა და მოსწავლეების) დაშვება დაწესებულების შენობაში;

თვალსაჩინო ადგილას განთავსებული გვაქვს განცხადებები COVID-19-ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ;

დაწესებულების შესასვლელთან განთავსებულია დეზობარიერი, სავალდებულო გამოყენების ნიშნის მითითებით;

უზრუნველყოფილია სანიტარიული წერტილების სანიტარიული დასუფთავება ყოველი დასვენების შემდეგ; სახელურების, მოაჯირების და ხშირად გამოყენებული ზედაპირების სანიტარიული დამუშავება (არაუმეტეს 3 საათიანი ინტერვალებით);

სადეზინფექციო საშუალებების მარაგები ხელმისაწვდომია მხოლოდ შესაბამისი პირისთვის.

სველი წერტილები მოწესრიგებულია თანამედროვე აღჭურვილობით და განლაგებულია, როგორც შენობის გარეთ ასევე შიგნით. სკოლას სულ ჰყავს 24 თანამშრომელი, აქედან 17 მასწავლებელი. აცრილია 50%. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, პრობლემა არ არის ის, რომ სკოლა სწავლობს ერთ ცვლაში.

ნინო თოდიძე,
ახალთერჯოლის საჯარო სკოლის დირექტორი

მუშაობა სამოქმედო გეგმით

ბაგა-ბაღის ყველა თანამშრომელმა, შევიმუშავეთ პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა.

დაუშვებელია, საბავშვო ბაგა-ბაღის შენობაში გარეშე პირების შესვლა. ბავშვების მიღება ხორციელდება ბაღის თანამშრომლების მიერ, ვახორციელებთ თერმოსკრინინგს, რათა გავაკონტროლოთ როგორც პერსონალის, ასევე, ბავშვებისა და მშობლების ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით, ვინც ახორციელებს თერმოსკრინინგს, მას უკეთია პირბადე და იცავს ერთ მეტრიან დისტანციას.

თუ ვინმეს აქვს, ინფექციისათვის დამახასიათებელი სიმპტომი: ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე, პირების დაშვება დაუშვებელია დაწესებულების შენობაში. ბაგა-ბაღის შესასვლელში განთავსებულია ხელის ანტისეპტიკური საშუალებები, აგრეთვე განთავსებულია დეზობარიერი. ბაგა-ბაღის ყველა თანამშრომლის დაწესებულებაში შესვლა ხორციელდება მხოლოდ ნიღბით. ბაგა-ბაღში ჩარიცხული არის 44 აღსაზრდელი, 2-3 წლიანთა ჯგუფში—18, 5-6 წლიანთა ჯგუფში—26. ბავშვების მშობლებთან ხდება დიალოგი ელექტრონული საშუალებებით. დადგენილია ბაღში ბავშვის მიყვანის და გაყვანის დროები. ავკრძალეთ გასართობი ღონისძიებები. გამოყოფილი გვაქვს ჰიგიენის კუთხეები, სათანადო ადგილზე გვაქვს განთავსებული სადეზინფექციო ხსნარები. თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ინფორმაცია COVID-19 ის ღონისძიებების შესახებ. ბაგა-ბაღში დასაქმებულია 18 თანამშრომელი. აცრილია მხოლოდ სამი. თანამშრომლებს, მშობლებს, ვაწვდი რეკომენდაციას, რომ აცრა აუცილებელია მათთვის და ოჯახის უსაფრთხოებისთვის. აღმზრდელები, აღმზრდელის თანაშემწეები, ძიძა, დამლაგებელი და სხვა პერსონალი, რომლებიც მუშაობენ სკოლამდელ დაწესებულებაში, არიან გადამზადებული (მათ შორის ახალი კორონავირუსის COVID-19- ის პრევენციული ღონისძიების შესახებ.)

ნინო ღიბრაძე,
ღვანკითის საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი

სკოლაში მიმდინარე პროცესი ეპიდემიის პირობებში

კორონავირუსის (covid-19-ის) ეპიდემია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში საერთაშორისო მასშტაბის საგანგებო სიტუაციად (PHEIC) გამოცხადდა და ახლა ვირუსი მრავალ ქვეყანასა და ტერიტორიულ ერთეულში გავრცელდა. მიუხედავად იმისა, რომ covid-19-ის გამომწვევი ვირუსის შესახებ ჯერჯერობით ცოტა რამ ვიცით, ცნობილია, რომ ის ინფიცირებულ პირთან პირდაპირი კონტაქტის შემთხვევაში აირ-წვეთოვანი გზით გადადის (ხველის და ცემინების დროს). ადამიანი ასევე შეიძლება დაინფიცირდეს ვირუსით დაბინძურებულ ზედაპირთან და შემდეგ სახესთან (მაგ. თვალებთან, ცხვირთან, პირთან) შეხების შედეგად.

ბავშვებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. სიფრთხილის ზომების მიღება აუცილებელია სკოლის გარემოში covid-19-ის შესაძლო გავრცელების პრევენციის მიზნით. ამასთან, სიფრთხილეა საჭირო იმ მოსწავლეებისა და პერსონალის გართულების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც შესაძლოა, ვირუსით დაავადების რისკის წინაშე აღმოჩნდნენ.

სკოლების მიერ მიღებულ ზომებს შეუძლიათ ხელი შეუშალონ covid-19-ის გავრცელებას მოსწავლეებსა და პერსონალს შორის და ამავდროულად, მინიმუმამდე დაიყვანონ სასწავლო პროცესების შეფერხება და დაიცვან მოსწავლეები და პერსონალი დისკრიმინაციისაგან.

სსიპ ქალაქ თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში ამჟამად სწავლა მიმდინარეობს ფიზიკურად, საკლასო ოთახებში. სკოლაში 352 მოსწავლეა და 31 პედაგოგი. პედაგოგების 80% აცრილია. ყოველდღიურად, დილით, მიმდინარეობს სკოლის ყველა წარმომადგენლის თერმოსკრინინგი. ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად თანახმად რეკომენდაციისა ავადმყოფი მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა თანამშრომლების სკოლაში მოსვლა შეზღუდულია.

სკოლამ უზრუნველყო, რომ ყველამ რეგულარულად დაიბანოს ხელი წყლითა და საპნით, გაიწმინდოს სპირტით / სადეზინფექციო ხელსახოცებით ან ქლორის ხსნარით და რომ სკოლაში, როგორც მინიმუმ ყოველდღე ხდება ზედაპირების დეზინფექცია და წმენდა. სკოლა უზრუნველყოფს წყლის, სანიტარული საშუალებების და ნარჩენების მართვის საშუალების და ვიცავთ გარემოს წმენდისა და სისუფთავის პროცედურებს.

ხელს ვუწყობთ სოციალურ დისტანცირებას (ეს ტერმინი გულისხმობს გარკვეულ მოქმედებებს, რომლებიც ძალზე გადამდები დაავადების გავრცელების შენელების მიზნით ხორციელდება, მაგალითად, მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის დიდი ჯგუფების შეკრების შეზღუდვას).

მოსწავლეები ინფორმირებული არიან მოვლენების უახლესი განვითარების შესახებ. იციან ძირითადი ინფორმაცია კორონავირუსის (covid-19-ის) შესახებ, მათ შორის მისი სიმპტომები, გართულებები, მისი გადაცემის გზები და გადაცემის პრევენცია. გვაქვს ინფორმაცია covid-19-ის შესახებ ისეთი ცნობილი წყაროებიდან, როგორიცაა იუნისეფი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და ქვეყნის ჯანდაცვის მინისტრის რჩევები (განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე).

დანერგილი გვაქვს სკოლის გაცდენის მონიტორინგის სისტემები, რომ თვალი ვადევნოთ სკოლაში მოსწავლეთა და თანამშრომელთა გამოცხადების მაჩვენებელს.

მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკურად ვსწავლობთ საკლასო ოთახებში, კოვიდვითარების გართულების შემთხვევაში, მზად ვართ სწავლა გავაგრძელოთ დისტანციური სწავლებით. სკოლის მოსწავლეთა 95% ფლობს ინტერნეტს. ვცდილობთ მოვეხმაროთ 5%-საც მდგომარეობის გაუმჯობესებაში, რადგან მათ უხდებათ ახლო მცხოვრებ ოჯახთან ან ტელეფონის ინტერნეტით სარგებლობა.

არსებობს უამრავი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს ბავშვებზე სკოლების დახურვის ზეგავლენას. სკოლების დახურვის საფასური—რომელიც, პანდემიის გამო დაწესებული კარანტინის პიკურ პერიოდში მთელ მსოფლიოში მოსწავლეთა 90 პროცენტს შეეხო და რომლის შედეგად მოსწავლეთა ერთ მესამედზე მეტი დარჩა დისტანციურ სწავლებაზე წვდომის გარეშე—გამანადგურებელია. რისკის წინაშეა მათი ჯანმრთელობა, განვითარება, უსაფრთხოება და კეთილდღეობა. სასკოლო კვებით სარგებლობის შესაძლებლობის გარეშე დარჩენილი ბავშვების კვების რაციონი უარესდება. ბავშვები ველარ ახერხებენ თანატოლებთან ყოველდღიურად ურთიერთობას, ასევე, ნაკლებს მოძრაობენ, რაც განაპირობებს მათი ფიზიკური მდგომარეობის გაუარესებას.

მოგეხსენებათ, ნემისმიერი ცვლილება ადამიანისგან გარკვეული საადაპტაციო პერიოდის გავლას მოითხოვს. გასულ წელს არ გვქონდა მოლოდინი, რომ ონლაინ სწავლებაზე გადასვლის პირველივე დღეებში დიდ წარმატებას მივაღწევდით. მნიშვნელოვანი იყო განწყობა, პროცესების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება. ამ პროცესებში უმნიშვნელოვანესია მშობლების როლი, მათ უნდა ახსოვდეთ, რომ სახლის პირობებში მთლიანად მათზეა დამოკიდებული, რამდენად უსაფრთხო სასწავლო გარემო ექნება ბავშვს შექმნილი. რა თქმა უნდა, ვირტუალურ სასწავლო გარემოში ბევრად რთულია ადაპტირება, ვიდრე რეალურ საკლასო ოთახში. ეპიდემიის შედეგები უნდა გავაცნობიეროთ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ შეფასდეს პროცესების ძლიერი და სუსტი მხარეები, დადგინდეს გამოწვევები, განისაზღვროს სწორი პოლიტიკა, შეიქმნას განათლების ხარისხის შეფასების ახალი სტანდარტები და მექანიზმები. უამრავ შეკითხვაზეა პასუხი გასაცემი—როგორ გრძნობენ მოსწავლეები თავს საკლასო ოთახს მიღმა, რა ენატრებათ სკოლიდან, რა გამოწვევების წინაშე დადგა მასწავლებელი, რა უნარების განვითარება არის მათთვის მნიშვნელოვანი და სხვა.

21-ე საუკუნეს მუდამ ცვლილებებისა და გადაფასებების საუკუნეს ვუწოდებდით. გამუდმებით ვახსენებდით ერთმანეთს, რომ ამ ეპოქის ყველაზე მნიშვნელოვანი უნარები დაკავშირებულია მოქნილობასთან, ადაპტირებასთან, ცვლილებების მართვასთან, გამუდმებით ვცდილობდით ერთმანეთისთვის შეგვეხსენებინა, რამდენად დიდია ტექნოლოგიებისა და ინოვაციების როლი ჩვენს ყოველდღიურობაში და რომ წარმატებისათვის აუცილებელია ნებისმიერ ცვლილებას მომზადებული შევხვდით.

მაგრამ შედეგები, რომლებიც დახურული სკოლების პირობებში კიდევ ერთი სასწავლო წლის გატარებას მოჰყვება, მომავალ თაობებზე აისახება.

რუსუდან უსუფაშვილი,
თერჯოლის №2 საჯარო სკოლის დირექტორი

პედაგოგი პენსიაში გასვლის შემდეგ

ორი წლის წინათ მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით პენსიონერ პედაგოგებს მიეცათ შეთავაზება, რომლის მიხედვით სკოლიდან წასვლის შემთხვევაში ისინი მიიღებდნენ ხელფასის ექვივალენტურ ანაზღაურებას, რაც 2 წლის განმავლობაში უნდა მიეღოთ, ამასთან სიცოცხლის ბოლომდე ისარგებლებდნენ ჯანდაცვის პაკეტით.

მიუხედავად იმისა პედაგოგები ძნელად ეგუებიან აზრს, რომ ოდესმე უნდა იცხოვრონ ბავშვებისა და სკოლის გარეშე, ანუ საყვარელი საქმის გარეშე, ამასთან ვიდრე პენსია ვერ უზრუნველყოფს მასწავლებელთა და არა მხოლოდ მათ, არამედ ნებისმიერი სფეროს პენსიონერის ელემენტარულ საჭიროებებს, ადამიანი სამსახურს თავს ვერ ანებებს. თუმცა, ამ შემთხვევაში მთავრობის შეთავაზება მისაღები აღმოჩნდა პენსიონერ პედაგოგთა უმრავლესობისათვის და თერჯოლის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან მიღებული ინფორმაციით მაშინ 77-მა პედაგოგმა დატოვა სკოლა, მათ ადგილებზე კი ახალგაზრდები დასაქმდნენ.

ერთი მათგანი ვინც თავისი ნებით, თუმცა გულისტკივილით, სკოლა დატოვა თერჯოლელთათვის კარგად ცნობილი ქალბატონი, რუფოთის საჯარო სკოლის პედაგოგი ნათელა ძოწენიძე გახლავთ... იგი ამ სკოლაში 46 წელი მოღვაწეობდა და დიდი სიყვარულითა და რუდუნებით ზრდიდა მოსწავლეთა არაერთ თაობას.

ქალბატონი ნათელასათვის სკოლის დატოვება და საყვარელ საქმესთან განშორება მარტივი გადასაწყვეტი არ იყო, თუმცა შეთავაზება მისთვის იმდენად საჭირო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ჯილდოდ და დაფასებად მიიჩნია 2 წლის სახელფასო ანაზღაურება, სკოლა ხომ პენსიონერს ოდესმე ისედაც უნდა დაეტოვებინა.

„მარადიული არაფერია ამ ცისქვეშეთში, ჩვენ ახლა ძალიან ვჭირდებით ჩვენს ოჯახებს, შვილებს, შვილიშვილებს, მეტი დრო გვექნება მათთან საურთიერთობოდ და საალერსოდ, მათზე საზრუნავად... ასეთი განცდით დატოვა თავისი მეორე ოჯახი, სკოლა, კოლეგები, მოსწავლეები...

ქალის ხელი და მზრუნველობა ყოველთვის სჭირდება ოჯახებს, მითუმეტეს სოფელში, ხოლო მოსაწყენად და სევდა-ტკივილთან განსამარტოვებლად, რაც უფრო ცოტა დრო რჩება ადამიანს, მით უკეთესი...

სოფლად ცხოვრება მართალია დიდ შრომა-გარჯას მოითხოვს, მაგრამ ბევრ სიამოვნებასაც ვიღებ. მიყვარს ბუნება, ხოლო წელიწადის დროები: გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა თუ ზამთარი, თითოეული ცალ-ცალკე დიდი ძალისხმევის სანაცვლოდ, დიდ სიხარულსა და სიამოვნებასაც ანიჭებს ადამიანს, ჩემს შემთხვევაში ნამდვილად ასეა,—ამბობს „თერჯოლასთან“ საუბარში ქალბატონი ნათელა და არ შეიძლება არ დაეთანხმო...

ენერგიულ, შრომისმოყვარე ქალბატონს სიამოვნებს და უხარია კარგად მოვლილ -ნაპატრონები სახლ-კარი, ეზო-გარემო, ვენახი თუ ყანა-ბოსტანი, შინაური ფრინველი თუ საქონელი... უყვარს მოწეული მოსავლით ტკბობა, ოჯახის წევრების დაბადების დღეებისა და მნიშვნელოვანი დღესასწაულების აღნიშვნა. ყოველთვის გამორჩეულად ემზადება შობა-ახალწლისა და აღდგომის დღესასწაულებისათვის.

უყვარს და კარგადაც ეხერხება ურთიერთობები ადამიანებთან, ყოველთვის ახარებს სტუმარი და კეთილი გულით მიმსვლელი... მზადაა გულთბილი მიღებისა და მასპინძლობისათვის. ეს ყველაფერი ქალბატონ ნათელასათვის ერთი დიდი სიამოვნებაა და ის ამაში ყოველთვის გულწრფელია.

ბიოგრაფიიდან: დაიბადა 1951 წლის 15 ივლისს, თერჯოლაში, მამა კონსტანტინე ძოწენიძე სპეციალობით აგრონომი, სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა, ხოლო დედა ელენე ქათამაძე პედაგოგი იყო. 1968 წელს დაამთავრა თერჯოლის პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა საქართველოს ზოოტექნიკურ-საველტერინარო კვლევით ინსტიტუტში გააგრძელა საველტერინარო ფაკულტეტზე. მესამე კურსიდან ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში გადადის საბუნებისმეტყველო გეოგრაფიის ფაკულტეტის ბიოლოგიის სპეციალობაზე, რომლის სრული კურსი 1974 წელს დაამთავრა.

1973 წლის სექტემბრიდან მუშაობა დაიწყო რუფოთის საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად, სადაც იგი პენსიაში გასვლამდე 2019 წლამდე მუშაობდა.

აქტიური, შრომისმოყვარე და ენერგიული ახალგაზრდა სკოლის პარალელურად 1985-93 წლებში მუშაობდა ნორჩ ნატურალისტთა თერჯოლის რაიონულ სადგურში წრეების ხელმძღვანელად, დირექტორად. მიღებული აქვს მრავალი სიგელი და დიპლომი. მინიჭებული აქვს სახალხო განათლების წარჩინებულის წოდება. სხვადასხვა წლებში არჩეული იყო სასკოლათაშორისო ქიმია-ბიოლოგთა და კლასის ხელმძღვანელთა მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელად, განათლების განყოფილების სახალხო კონტროლის თავმჯდომარედ, სოფლის რამდენიმე მოწვევის დეპუტატად, დედათა და ბავშვთა კომიტეტის თავმჯდომარედ, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორად. აქტიურად იღებდა მონაწილეობას შრომითი ბანაკების მუშაობაში, იყო ბანაკის ხელმძღვანელი, საუკეთესო ნაშრომის წარდგენისათვის მონაწილეობა აქვს მიღებული ეკოლოგთა, საერთაშორისო ყრილობის მუშაობაში.

2004 წელს ქალბატონ ნათელას ინიციატივით თერჯოლაში გაიხსნა სამედიცინო კოლეჯ „ფანასკერტელის“ სახელობის ფილიალი, რომელმაც შვიდი თაობა გამოუშვა.

ნათელა ძოწენიძე ამ ყველაფერთან ერთად კარგი ოჯახის დიასახლისის, მეუღლის და დედის არც თუ მსუბუქ ტვირთსაც ეზიდებოდა, რომელსაც დღესდღეობით ბებიის ფუნქციაც დაემატა.

ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაოჯახდა. რუფოთელი როლანდ მეგრელიშვილი, სპეციალობით ინჟინერი, რომელიც შემდეგ სხვადასხვა საპასუხისმგებლო სამუშაოებზე საქმიანობდა, გახდა მისი მეუღლე. მათ სამი ვაჟი შეეძინათ და დიდი რუდუნებით ზრდიდნენ.

ნათელას მეუღლის თანადგომა და დახმარება უმსუბუქებდა ერთმანეთისათვის კარგად შეეთავსებინა საოჯახო და საზოგადოებრივი საქმიანობა, სიყვარულსა და სიხარულში გაეზარდათ ვაჟები—დავითი, კონსტანტინე და ნიკოლოზი... თუმცა ოჯახი ვერ ასცდა მწარე განსაცდელს, დავითი 13 წლის ასაკში 1985 წელს დაკარგეს. ეს სიმწარე ოჯახს დღემდე მოყვება...

მიუხედავად მძიმე დღეებისა ნათელას არასოდეს დაუკარგავს პასუხისმგებლობის განცდა როგორც ოჯახის, ასევე მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის მიმართ... თავდადებული მუშაობა თითქოს დროებით მაინც უმსუბუქებდა ტკივილს... მძიმე განსაცდელს ხელი არ შეუშლია ყოფილიყო ისევ აქტიური, შემტევი, საქმიანი...

ამასობაში წლები გავიდა, ბიჭები კონსტანტინე და ნიკოლოზი დაოჯახდნენ და შვილიშვილებთან და რძლებთან ერთად ულამაზებენ ცხოვრების დღეებს.

პენსიაზე გასულს ხშირად მოეძალება ფიქრები, ზოგჯერ ნოსტალგიაც, მაგრამ ოჯახზე, შვილებზე და შვილიშვილებზე ფიქრი და ზრუნვა ყველაფერს ავიწყებს, მათთვის ყოველთვის აქვს თავისი ხელით დამზადებული ჩურჩხელები და შემოდგომით მოწეული სოფლის პროდუქტები, ხილი თუ მოსავალი...

ნათელას სიამოვნებას ანიჭებს ცხოვრების მანძილზე აღზრდილი მოსწავლეებისაგან და მათი მშობლებისაგან ყურადღება, გამოხმაურება, ეამაყება ყოფილ მოსწავლეთა წარმატება და ცხოვრების გზაზე მყარად დადგომა. დღემდე ახსოვს თითოეული მათგანი...

ორი წელია სექტემბრის სასკოლო ზარი აღარ იხმობს ნათელა მასწავლებელს, ორი წელია სასკოლო ცხოვრებაც ჩვეულ რეჟიმში არ მიემართება. თუმცა, როცა სკოლისაკენ მიმავალ მოსწავლეს დაინახავს, სევდა ეძალება, თითოეულ მოსწავლეს ლოცვასა და კურთხევას ასაგზლებს, წარმატებას უსურვებს მათ და მათ აღმზრდელებს...

ფიქრობს ქვეყნის მომავალზე, უხარია სასიკეთო ცვლილებები, ტკივა და აფორიაქებს მიუღებელი და ქვეყნის საზიანო ფაქტები, თუ მოვლენები, ვერ ეგუება და ვერც ოდესმე შეეგუება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას...

იცის და მიაჩნია, რომ ქვეყნის წინსვლა და გაძლიერება განათლებულ, ზნეკეთილ ახალგაზრდებზე დგომაა და მას ალტერნატივა არა აქვს...

„სუპერ კლასი“ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლაში

ზედა სიმონეთის დავით კლდიაშვილის სახელობის საჯარო სკოლა (დირექტორი გია ქასრაშვილი) ერთ-ერთია მათ შორის, სადაც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის უმნიშვნელოვანეს საქმეს...

ასე გრძელდებოდა კოვიდ-პანდემიის პირობებშიც, რეგულაციები და მითითებები მათ სავალდებულოდ გაიხადეს, რათა აერიდებინათ ვირუსით გამოწვეული საფრთხე, რომელმაც უამრავი სიცოცხლე შეიწირა...

დისტანციურ სწავლებაში თითქმის ყველა მოსწავლე იყო ჩართული და ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ მათი აქტივობა სწავლის ამ სახეობის ხარისხი სათანადოდ აეწიათ.

შედეგი სკოლას ნამდვილად აქვს და ეს აისახება კიდეც მოსწავლეთა ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობით და სასურველი შედეგების მიღებით.

ახლა სკოლა ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას. ახლახან საქართველოს საგანმანათლებლო პორტალ izrune.ge-ში 26 სექტემბრის შემაჯამებელი ტესტის შედეგების მიხედვით 2021-2022 სასწავლო წლის რეგიონების პირველი „სუპერ კლასების“ სია გამოქვეყნდა, ერთ-ერთი მათ შორის სწორედ ამ სკოლის მეორე (ა) კლასია, კლასის დამრიგებელი მაია გიორგაძე...

ვულოცავთ თითოეულ მეორე კლასელსა და დამრიგებელს, ქალბატონ მაიას ამ წარმატებას. სხვა უამრავი წარმატება გვისურვებია...

* * *

ამ დღეებში მაია მასწავლებლის სადამრიგებლო მეორე (ა) კლასში ლამაზი ღონისძიება მიუძღვნეს მასწავლებლის დღეს. ლექსებით, სიმღერებით და მხატვრული ნომრებით მადლობა გადაუხადეს პედაგოგებს გაწეული ღვაწლისათვის, მოეფერნენ აგრეთვე სამშობლოს.

* * *

მოკრძალებულად, საკლასო აქტივობით აღნიშნეს მასწავლებლის დღე ამავე სკოლის მესამეკლასელებმა—კლასის ხელმძღვანელი ელისო ჯანელიძე. ლამაზი ღონისძიება მოამზადეს და სითბოთი და სიყვარულით გაჯერებული სტრიქონები მიუძღვნეს აღმზრდელებს. ნორჩი დეკლამატორები ლამაზად კითხულობდნენ: იოსებ ნონეშვილის, ფრიდონ ხალვაშის, შოთა ნიშნიანიძის, იოსებ ციცქიშვილის, მორის ფოცხიშვილის, მარიამ წიკლაურისა და ლუარა ჭანტურიას ლექსებს, ხატოვნად და ლამაზად წაიკითხეს აგრეთვე პავლე მამფორიას მოთხრობა „შორიდან მოსული მოსწავლე“...

* * *

ულამაზესი აქტივობით აღნიშნეს მასწავლებლის დღე ასევე მეოთხეკლასელებმა, კლასის ხელმძღვანელი ნარგიზ აბულაძე. მოსწავლეთა უდიდესი დამსახურებისა და განსაკუთრებული საქმიანობისათვის ხოტბა შეასხეს პედაგოგებს და გამოხატეს სიყვარულით მადლიერება იმ ღვაწლისა და თავდადებისათვის, რასაც მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდისათვის აკეთებენ... წაიკითხეს მრავალი პოეტური შედევრი, ასე მიულოცეს მათ თავიანთი პროფესიული დღესასწაული.

გვერდის ავტორი

მზია ცქიფურიშვილი

ბეჭდვით მედიას მაინც განსაკუთრებული როლი აკისრია

ამ სათაურით ვაქვეყნებთ იმ წერილებს, რომლებსაც ჩვენი მკითხველები გვიგზავნიან რედაქციაში... ეს მხოლოდ ისეთ კორესპონდენციებს ეხება, სადაც მკითხველები გულწრფელად და დაუფარავად საუბრობენ ჩვენი გაზეთის მნიშვნელობაზე, გვირჩევენ, გვაძლევენ შენიშვნებს, გვიწონებენ თუ გვიწუნებენ საქმიანობას... კარგია, რომ ჩვენი გაზეთის ელექტრონული ვერსიის ინტერნეტსივრცეში განთავსებამ ბევრი ახალი მკითხველი გაგვიჩინა, მათ შორის ის ადამიანები, რომლებიც წლებია გადახვეწილნი არიან თერჯოლიდან შორს—უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში და მოუთმენლად ელიან თუ რას წერს „თერჯოლა“ მათი მშობლიური თერჯოლისა და თერჯოლელების შესახებ.

ჩემს თერჯოლლებს და „თერჯოლას“

მოგესალმებით! ნამდვილად ვარ თქვენი ერთგული მკითხველი და ჩვენი რაიონის, მთელი საქართველოს გულშემატკივარი... ძალიან დიდი სურვილი მაქვს ვიყო თქვენთან ერთად, ჩვენი მხარის განვითარებისა და წინსვლისათვის ბრძოლის ფერხულში... მაგრამ 20 წლიანმა სიშორემ ბევრი რამ შეცვალა... ტერმინოლოგიაც კი... ვითომ, რაღაც უკეთესის მოხლაფორთებაში, ბევრ საუკეთესოზე უარი ვთქვით და მე უკვე არ ვიცი ქვეყანა საით მიდის... არ ვმალავ, მე ისევ იქ დავრჩი, იმ 30 წლის უკან, იცით რატომ? იმიტომ რომ უკეთესი ვერაფერი დავინახე და შევიგრძენი... 52 წლის გავექეცი ენით აუწერელ სიდუხჭირეს და ახლა, 72 წლის მოხუცი ვარ, ისე მოხუცი, რომ თქვენი გაზეთი, სათაურების გარდა, ვერ წავიკითხე! არავის ვაბრალებ, ეს ალბათ ჩემი ბედი იყო, ქალი რომ ოჯახს გამოეცლება, იმ ოჯახის საქმე წასულია და ბევრიც რომ ვეცადო, ვერაფერს ვცვლი... მე 20-17 წლის წინ თქვენი რედაქცია მაძლევდა ძალას დამეძლია უცხოობის სიძნელეები, შევგუებოდი, სრულიად უმეცარ, უცხო სამყაროს. მთელი კოლექტივი იდგა მაშინ ჩემს გვერდით, ყოველ კვირას ვიღებდი იმედიან წერილებს და იუმორისტულ შეხუმრებებს... თქვენ ვერ წარმოიდგენთ ეს რა ძალა იყო ჩემთვის... დღეს თქვენი გაზეთი ახალი ამოცანების წინაშეა, უფალს ვთხოვ შეგესრულებინოთ თქვენი მისია მასების დახმარების, აღზრდის და განვითარების საქმეში. დღეს ისე ძნელია გაარჩიო რა არის სწორი და რა არასწორი, რა მისაღები და რა დასაგმობი... ვფიქრობ, ურთულესია თქვენი პროფესია...წარმატებებს და სწორ გზას გისურვებთ, ხვალინდელი დღის უკეთესობისათვის ბრძოლაში...

ისევ ლექსით მოგეფერებით

ერთად შეკრულ-შეწყობილი
გონებრივი შრომის
ჭაპანს სწევთ
და რანდავთ რუდუნებით
ქართულ სიტყვას
და თქვენს ნადავლს
ხალხში მოფენთ,
როგორც მარცვალს მოაბნევენ
მიწას ფხვიერს,
და მიზანში ნასროლ სიტყვას,
მსუყესა და გულისხმიერს,
ის ძალა აქვს კაცს კი არა,
მთელ ცხოვრებას
უცვლის იერს...
თვითონ ღმერთიც იყო სიტყვა,
და სიტყვიდან იშვა ყველა,
თუმც მავანთა უხამს ფეხით
ბევრი სიტყვა გაითელა...
და რაც ხალხის გულში დარჩა,
ის გადარჩა!
გლოცავთ, სიტყვის მსახურთ,
ყველას,
უსათუოდ დავცლი ამ თასს,
სიხარულით ფრთაშესხმული
გადმოვიფრენ მერე ცხრა
მთას...
და ჩაგიკრავთ გულში ყველას...
[რა ამაო ქადილია,
აღსრულება არც თუ ისე
ადვილია]...
იცით გული როგორ ღელავს?
თვალებიდან ცრემლიც
ჟონავს...
ათენიდან გადღეგრძელებთ,
ჩემს თერჯოლლებს და
„თერჯოლას“!

ლუიზა კუპატაძე

პასუხი კითხვაზე—არის გაზეთი „თერჯოლა“ თერჯოლის ხმა?..

გაზეთი „თერჯოლა“ არის თერჯოლის ხმა და თერჯოლის მცხოვრებთა ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანი ახალი ამბების მაცნე. იმ მრავალფეროვან მიმართულებებს შორის, რასაც გაზეთი პროფესიონალურად აშუქებს სასარგებლოა საინფორმაციო წერილები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის საკითხებზე, რაც მოსახლეობას უადვილებს ერთწლიანი კულტურების თესვის ვადების დაცვას, მრავალწლიანი კულტურების (ვაზი, ხეხილი, ციტრუსი და სხვა) გასხვლა-ფორმირების, მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დროულ გატარებას, რაც გარკვეულად წინა პირობაა უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის და სხვა აქტუალური საკითხების განხილვის გამო გაზეთი „თერჯოლა“ ყველას საყვარელი გაზეთია.

გოჩა ბუცხრიკიძე, ნიკოლოზ ვერულაშვილი

გაზეთი თერჯოლა

მინდა წარმატებები გისურვოთ!

მოგესალმებით პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით!

არიან ადამიანები, რომელთა სულიერი საზრდო ოდითგან იყო ბეჭდითი მედია. ერთ-ერთი ასეთი გახლავართ მეც. მიუხედავად იმისა, ელექტრო და სოციალური მედია ასე ძალუმად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, ბეჭდით მედიას მაინც თავისი განსაკუთრებული როლი აკისრია. და ეს როლი მით უფრო გამოკვეთილია, თუ ის მის ფურცლებზე კონკრეტული მუნიციპალიტეტის მაჯისცემას ასახავს. ასეთებს მიეკუთვნება გაზეთი ,,თერჯოლაც“. მის ფურცლებზე თითქმის ყველაფერია: დაწყებული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებით და დამთავრებული ჩვენი ყოველდღიური საჭიროებებით. ოღონდ თუ არ მიწყენთ, მინდა რამდენიმე მოსაზრება გაგიზიაროთ:

— სასურველია (და ალბათ აუცილებელიც), რომ გაზეთის ფურცლებიდან ისმოდეს განსხვავებული აზრიც. ის ხომ რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთია და ვფიქრობ, არაფერი დაშავდება იმით, თუ მათაც მოვუსმენთ მით უფრო იმ ფონზე, როცა ჩვენს ქვეყანაში მზადდება ნიადაგი ქვეყნის თუ მუნიციპალიტეტის კოალიციური მართვისათვის;

— მესმის, რომ გზების ინფრასტრუქტურა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მგონია, რომ ჩვენი მერიის ძირითადი მოვალეობა გზების რეაბილიტაციაა. არ არის ნომერი შესაბამისი ფოტოების გარეშე.

— ადრე იყო რუბრიკა: ,,რედაქციაში წერილი მოვიდა“. ალბათ სასურველია აღდგეს ეს რუბრიკა. მე დღეს მაქვს სამი ასეთი წინადადება:

1. შესაბამისმა სტრუქტურებმა უნდა გამოყონ ქალაქში პარკინგები. ყველა სავაჭრო ცენტრის წინ ისეთი ქაოსია, ქვეითს უჭირს გავლა. ალბათ გაგივლიათ ,,დეილის“, ,,კრედოს“ წინ. ,,კრედოს“ წინ ხომ საერთოდ გავლა შეუძლებელია. იქნებ დაისვას თქვენი გაზეთის ფურცლებზე ეს საკითხი და შემდეგ ალბათ თვალსაც მიადევნებთ.

2. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს ტაქსების გაჩერება ე.წ. ,,პივნოის“ შესახვევთან. ქვეითს იქ დასადგომი ადგილი არ რჩება, რადგან ჩრდილებს მძღოლებმა მანქანები უნდა შეაფარონ.

3. და კიდევ ჩემის აზრით მოძრაობის უსაფრთხოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი: ისევ ,,პივნოის“ ამოსასვლელს ვეხები, სადაც საკმაოდ დიდი მოძრაობაა და წარმოადგენს საშიშ გადასასვლელს. აუცილებელი და საჭიროა აღნიშნულ ამოსასვლელთან შუქ-ნიშნის დაყენება.

შენიშვნა: ვაპირებდი ამ წინადადებების დაყენებას მერობის კანდიდატთან წინასაარჩევნო შეხვედრაზე, მაგრამ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია ჩემამდე არ მოსულა.

— თუკი შესაძლებელია, რედაქციამ მოაწყოს მრგვალი მაგიდები სხვადასხვა სფეროში დასაქმებული ადამიანების მონაწილეობით და შემდეგ საზოგადოება გაეცნოს იმ კონკრეტულ სფეროში მიღწევებსაც და გამოწვევებსაც. ბუნებრივია, გაკეთდება სტენოგრამა და შემდეგ აისახება გაზეთის ფურცლებზე, ოღონდ არავის უნდა სჭირდებოდეს შელამაზებული და შეფუთული დისკუსიები.

— როცა ვსაუბრობ მრგვალ მაგიდაზე, ბუნებრივია, პირველ რიგში ვგულისხმობ სკოლას, მასწავლებელს და მოსწავლეს.

და ბოლოს: მინდა წარმატებები გისურვოთ. მაპატიეთ, თუ ისეთი რამ შემოგთავაზეთ, რაც თქვენთვის მიუღებელია.

პატივისცემით,
ეთერ ტურავა

ჩემთვის არ არსებობს უინტერესო სტატია

რამდენიმე ათეული წელია, გაზეთ „თერჯოლის“ (ადრე „წინსვლის“) მკითხველი გახლავარ. წლების განმავლობაში შემინახავს ის ნომრები, სადაც ჩემი ოჯახისათვის მეტად მნიშვნელოვანი სტატია იყო დაბეჭდილი.

ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (19 წლის წინ გადავიტანე უმძიმესი ფორმის ინსულტი) უკვე ვაჟის ოჯახთან ერთად ვცხოვრობ დედაქალაქში, მაგრამ ჩემს მშობლიურ რაიონთან კონტაქტი ერთი წუთითაც არ გამიწყვეტია... ახლობლები, ყოფილი მეზობლები თუ ნაცნობები ხშირად მირეკავენ... „რა არის ახალი თერჯოლაში?“—ესაა პირველი შეკითხვა, რომელსაც მათ ვუსვამ. სიზმარშიც სულ ჩვენს პატარა ქალაქში ვარ ხოლმე. ეს არცაა გასაკვირი, აქ ხომ თითქმის შვიდი ათეული წელი გავატარე...

მოუთმენლად ველოდები გაზეთ „თერჯოლას“ ყოველ ახალ ნომერს, რომელიც ნამდვილადაა „თერჯოლის ხმა“. მისი საშუალებით ვგებულობ ჩემი რაიონის ამბებს. ჩემთვის არ არსებობს უინტერესო სტატია, ყველაფერს გულდასმით ვკითხულობ თავიდან ბოლომდე.

ამ წერილის დაწერა გადამაწყვეტინა ქალბატონი მზია ცქიფურიშვილის სტატიამ—„აი, ფაქტი და თერჯოლის ხმა!“

მინდა წარმატებები ვუსურვო გაზეთსა და მთელ მის კოლექტივს.

ჩემთვის და ჩემი მსგავსი ადამიანებისათვის „თერჯოლა“ ნამდვილად არის „თერჯოლის ხმა“.

ზაირა ნემსაძე - მემანიშვილი,
83 წლის

დემოკრატიის გაძლიერება მედიაწიგნიერების ამაღლებით...

„გამოვიყენეთ განვითარებისათვის“

თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში ფართომასშტაბიანი, მრავალპროფილური მუშაობა ერთ უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს მიზანს ემსახურება, ესაა: ქვეყნის ღირსეული, მრავალმხრივ განვითარებული მოქალაქეების აღზრდა. ამავე მიზანს ემსახურება სწორედ მისი არასამთავრობო ორგანიზაცია „ფიფლ ინ ნიდთან პარტნიორის სტატუსით თანამშრომლობა, პროექტის: „დემოკრატიის გაძლიერება მედიაწიგნიერების ამაღლებით“, ფარგლებში.

პროექტი, რომელიც საქართველოს მასშტაბით ოთხ მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს და მათ შორის თერჯოლაში დაფინანსებულია ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და USAID-ის მიერ.

თანამედროვე სამყაროში, სადაც ინფორმაციის ნაკადი სულ უფრო იზრდება საზოგადოებას უწევს ამოარჩიოს სანდო ინფორმაცია. ეს კი ახალი გამოწვევის წინაშე აყენებს ადამიანს—განივითაროს ინფორმაციის სელექციის უნარი. ბუნებრივია, ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო აქტუალური ხდება მედიაწიგნიერების განვითარების საკითხი, რადგან მხოლოდ მედიაწიგნიერ და კრიტიკულად მოაზროვნე საზოგადოებას შეუძლია თავი დაიცვას დეზინფორმაციისაგან. ეს მიზანი აქვს სწორედ ახალგაზრდებში მედიაწიგნიერების ამაღლებას, რათა მათ შემდგომ შეძლონ აქტიურად შეუწყონ ხელი საკუთარ თემში დემოკრატიულ პროცესებს.

პროექტი თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის „ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების კლუბის“ ხელმძღვანელის რუსუდან კოვზირიძის მიერ ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობს და მისი მიზანი იყო და არის დოკუმენტური ფილმების საშუალებით ახალგაზრდებს გამოემუშავებინათ სწორი ხედვა, უნარები, განესხვავებინათ ყალბი ინფორმაცია ნამდვილისაგან, რომლის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაციაც ივნისში წარმოადგინეს, თუმცა პროექტი გრძელდება და მას აგრძელებს კლუბის აღსაზრდელები...

„სად გადის ზღვარი რეალურ და ვირტუალურ სამყაროს შორის?!“

პროექტის პირველ ეტაპზე გადაემზადნენ ღონისძიების დაგეგმვისა და განხორციელების კლუბის წევრები: **გიგი ჯიქიძე** (სიქთარვის საჯარო სკოლა, მე-12 კლასი), **ირმა ბრეგაძე** (ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა, მე-11 კლასი), **ლიზი დვალი** (ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლა, მე-10 კლასი), **ქეთი ქოჩიაშვილი** (ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლა, მე-9 კლასი), **ლია ლორთქიფანიძე** (ვოგნის საჯარო სკოლა, მე-11 კლასი), **ნატალი ბუსკივაძე** (ღვანკითის საჯარო სკოლა, მე-11 კლასი), **ანი ცხადაძე** („მზეკაბანი“, მე-11 კლასი), **მარიამ ყველაიძე** (№2 საჯარო სკოლა, მე-10 კლასი), **მარიამ რობაქიძე** (№2 საჯარო სკოლა, მე-11 კლასი), **ანანო აბულაძე** (თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, მე-9 კლასი).

მეორე ეტაპზე გუდაურში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „პროექტების ციკლის მართვა“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ირმა ბრეგაძემ და ლია ლორთქიფანიძემ. ამის შემდგომ საქართველოს მასშტაბით PIN-ის მიერ გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, რომელშიც მონაწილეობდნენ პროექტის ფარგლებში გადამზადებული მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აღსაზრდელები, რომლებმაც ცალ-ცალკე წარადგინეს პროექტები.

საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა ირმა ბრეგაძის პროექტმა „სად გადის ზღვარი რეალურ და ვირტუალურ სამყაროს შორის?!“

შედგა პროექტის განმახორციელებელი ჯგუფი: ირმა ბრეგაძის—პროექტის ლიდერი, ლიზი დვალის, ქეთი ქოჩიაშვილისა და ნინი ბრეგაძის შემადგენლობით.

პროექტის მიზანი ისევ და ისევ თერჯოლაში მცხოვრები ახალგაზრდების მედიაწიგნიერების უნარების განვითარებაა.

პროექტის აქტივობები: ფგ „მედიაწიგნიერების“! შექმნა;

ტრენინგის ჩატარება თემაზე: „კადრად ქცეული რეალობა!“ 7 საჯარო სკოლაში და სხვადასხვა სახის ვიზუალური მასალის შექმნა;

7 საჯარო სკოლაში 5 ფილმის ჩვენება.

STREETART „გახდი მედიაწიგნიერი!“ იდეების (ესკიზები) კონკურსი.

პროექტის შემაჯამებელი პრეზენტაცია 5 ნოემბერს გაიმართა ცენტრის დარბაზში, სადაც მოწვეულ სტუმრებს პროექტი წარუდგინა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა, პროექტის „დემოკრატიის გაძლიერება მედიაწიგნიერების ამაღლებით“ ხელმძღვანელმა რუსუდან კოვზირიძემ, მან შეკრებილთა წინაშე ხაზი გაუსვა პროექტის მნიშვნელობას და განსაკუთრებით ცენტრის აღსაზრდელთა მუშაობას, რომ პროექტში ჩართული მოსწავლეებისათვის და არა მხოლოდ მათთვის, ეს არის დიდი ცოდნისა და გამოცდილების შეძენა, რომელთა მეშვეობით ხდებოდა და მომავალშიც მოხდება ინფორმაციის გავრცობა.

როგორც რუსუდანმა აღნიშნა: „პროექტში ჩართულმა, გადამზადებულმა მოსწავლეებმა მიიღეს ახალი ცოდნა, მედიაწიგნიერების კუთხით, ასევე იმ სკოლების მოსწავლეებმა, სადაც პროექტის ფარგლებში ფილმების ჩვენება და ფასილიტაცია იმართებოდა, რაც საშუალებას მისცემთ მათ იაზროვნონ, დაფიქრდნენ, კრიტიკულად შეაფასონ გავრცელებული ინფორმაცია და გულუბრყვილოდ არ ენდონ ხშირ შემთხვევაში, ყალბ დეზინფორმაციას. სკოლებს მადლობა, ეს ბავშვები ძლიერი, სათანადოდ მომზადებულნი არიან, შეიძლება მათ სკოლებმა ანდონ სხვა ღონისძიებების მომზადება, ორგანიზება. მათ თავად შეუძლიათ ყველაფერი მოაგვარონ, მოამზადონ და წარმოადგინონ...

სკოლებში ამით თაობები ეუფლებიან ძალიან მნიშვნელოვან და საჭირო ცოდნას.

დიდი იმედი მაქვს, რომ ყველა სკოლა მოგებული დარჩება ამ ბავშვებით.

ასე თანდათან იდგმება ნაბიჯები დემოკრატიის განვითარებისათვის.

რუსუდანმა მადლობა გადაუხადა მოსწავლეთა მშობლებს თანადგომისათვის, ასევე ცენტრის მუშაკებს დახმარებისა და გაწეული მუშაობისათვის...

ახლა კი აუდიტორიის წინაშე პრეზენტაციას წარადგენს პროექტის ლიდერი ირმა ბრეგაძე. მას კარგად აქვს გააზრებული პროექტის მნიშვნელობა, იმ გამოწვევების საპირწონედ, რომელიც საზოგადოების წინაშე დგას, „საზოგადოების ნაწილი, რომელსაც არასაკმარისი ინფორმაცია აქვს სოციალურ ქსელში არსებულ საფრთხეებზე ხშირად ხდებიან კიბერბულინგის მსხვერპლნი. ჩვენი გუნდი იაზრებს იმას, რომ ჩვენს უკან უამრავი ახალგაზრდაა, რომლებიც საჭიროებენ ცოდნას კიბერსამყაროს შესახებ, ამიტომ პროექტის მიზანია ხელი შევუწყოთ თერჯოლაში მცხოვრები ადამიანების მედიაწიგნიერების უნარების განვითარებას, იმ ცოდნის გაცემას, რაც ჩვენ პროექტის ფარგლებში მივიღეთ“... იგი თანმიმდევრულად საუბრობს პროექტის აქტივობებზე... როგორც აღნიშნა, პროექტი განხორციელდა მუნიციპალიტეტის შვიდ საჯარო სკოლაში.

ფილმის „გენერალური გეგმა“ ჩვენება 14 ოქტომბერს გაიმართა კერძო სკოლა „მზეკაბანში“. ბავშვებმა იმსჯელეს: დეზინფორმაციის გავრცელების დონეზე, საფრთხეებსა და მათი მოგვარების გზებზე. ძირითად თემად განიხილეს რუსული პროპაგანდა და გამართეს ჯანსაღი დისკუსია ამ თემასთან დაკავშირებით. მოისმინეს უამრავი საინტერესო მოსაზრება. ფასილიტატორები: ლიზი დვალი და ანა ცხადაძე.

ფილმის „ახალი ამბების“ ჩვენება 17 ოქტომბერს ღვანკითის საჯარო სკოლაში 30 ახალგაზრდისათვის გაიმართა, რომლებმაც იმსჯელეს თავისუფალი მედიის როლზე საზოგადოების განვითარებაში, გამოკვეთეს პირადი პრობლემები და მივიდნენ დასკვნამდე: იმისათვის, რომ საზოგადოება განვითარდეს, საჭიროა სწორად მივაწოდოთ მას ინფორმაცია, რასაც უნდა აკეთებდეს თავისუფალი მედია. საინტერესო პარალელებიც გაავლეს ჩვენი ქვეყნის.

დღის ფრაზა ასეთია: „ახალი ამბები ყუმბარასავით უნდა გაისროლო“. ფასილიტატორები: ამავე სკოლის მოსწავლე ნატალი ბუსკივაძე და ირმა ბრეგაძე.

ფილმის „გამო(მ)იწერე“ ჩვენება სოფელ ზედა სიმონეთის საჯარო სკოლაში 19 ოქტომბერს გაიმართა. შეხვედრამ და ფილმის ჩვენებამ საინტერესო ვითარებაში ჩაიარა. გაიმართა დისკუსია თემებზე: დეზინფორმაცია, პროპაგანდა, სოციალურ ქსელში არსებული საფრთხეები, პირადი ინფორმაციის დაცვა და სხვა...

დღის ფრაზა: „ვმართოთ სოციალური ქსელები ისე, რომ სოციალურმა ქსელებმა არ გვმართოს ჩვენ“.

ფასილიტატორები: ამავე სკოლის მოსწავლე, ირმა ბრეგაძე და ნინი ბრეგაძე.

ფილმი „რა გვაიძულებს დაწკაპუნებას“ ჩვენება 21 ოქტომბერს ქ. თერჯოლის №2 საჯარო სკოლაში გაიმართა... ფასილიტაციას უძღვებოდნენ ამავე სკოლის მოსწავლეები, ცენტრის ივენთ კლუბის წევრები: ლიზი დვალი, ქეთი ქოჩიაშვილი, მარიამ ყველაიძე.

ფილმის „გამო(მ)იწერე ჩვენება სოფ. სიქთარვის საჯარო სკოლაში 18 ოქტომბერს გაიმართა. შეხვედრის და ფილმის ჩვენებას ესწრებოდა სიქთარვის საჯარო სკოლის 25 ახალგაზრდა. მათ იმსჯელეს ალგორითმზე, იმაზე—თუ რა დადებითი და უარყოფითი თვისებები აქვს მას, როგორ განსაზღვრავენ ჩვენს სურვილებს, ვინ არიან ე.წ. ტროლები, კლონები და ბოტები, როგორ დავიცვათ ჩვენი პირადი ინფორმაცია საფრთხისაგან?! და სხვა.

დღის ფრაზა: „დრო—ფულია!“

ფასილიტატორები: ამავე სკოლის მოსწავლე გიგი ჯიქიძე და ქეთი ქოჩიაშვილი.

ფილმის „რა გვაიძულებს დაწკაპუნებას“ ჩვენება მოეწყო ვოგნის საჯარო სკოლაში. ფილმის ჩვენებას ესწრებოდნენ სკოლის წარმომადგენელი ყველაზე აქტიური 10 მოსწავლე. ფილმის ნახვის შემდეგ გაიმართა დისკუსია თემაზე: სოციალური ქსელების გავლენა ბავშვებსა და ახალგაზრდებზე: „რა გვაიძულებს დაწკაპუნებას?!; რატომ ხდებიან ადამიანები დამოკიდებულები და სხვა ყოველივე ამის მიზანი კი იყო—„ხელი შეგვეწყო კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის“.

დღის ფრაზა: „ყველაფერს აქვს ორი მხარე, მოდი გამოვიყენოთ მისი დადებითი!“

ფასილიტატორები: ლიზი დვალი და ლია ლორთქიფანიძე.

ფილმი „რა გვაიძულებს დაწკაპუნებას“ ჩვენება 3 ნოემბერს მოეწყო თერჯოლის №1 საჯარო სკოლაში.

კოვიდპანდემიის გამო ფილმის ჩვენებამ ონლაინ სივრცეში გადაინაცვლა, თუმცა ძალიან საინტერესო ვითარებაში ჩაიარა. ფილმი ნახა 21-მა ახალგაზრდამ, რომლებმაც შემდეგ გამართეს დისკუსია თემაზე: „სოციალური ქსელების გავლენა ადამიანზე, რამდენადაა დაცული ჩვენი პირადი ინფორმაცია, ვინ არიან ტროლები და ბოტები, რას ნიშნავს პროპაგანდა და რით განსხვავდება დარწმუნება ინფორმირებისაგან“.

დღის ფრაზა: „გამოვიყენოთ განვითარებისათვის!“

ფასილიტატორები: ირმა ბრეგაძე და ამავე სკოლის მოსწავლე ანანო აბულაძე.

პროექტის „სად გადის ზღვარი რეალურ და ვირტუალურ სამყაროს შორის?!“ ფარგლებში იმავე სკოლებში ჩატარდა ტრენინგები, რომლის თემები იყო: 1. მედიაწიგნიერება. 2. FAKE NEWS; 3. ყალბი ფოტო-ვიდეო კონტენტი; 4. როგორ ვაქციოთ რეალური პრობლემა კადრად?!

კადრად ქცეული რეალობა...

პროექტის მეოთხე ეტაპი, როგორც აღინიშნა მოიცავდა იდეების (ესკიზების) კონკურსს.

იდეების კონკურსი თემაზე „გახდი მედიაწიგნიერი!“ გამოცხადდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ფეისბუკ გვერდ „მედიაწიგნიერი“-ს საშუალებით. პროექტის აქტივობის მიხედვით გამარჯვებულმა მხატვარმა ლანა ჭანტურიძემ კი მოხატა ქალაქის ტერიტორიაზე, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე ე.წ. ქოჩიაშვილების უბანში კედელი, რომელიც ნათლად შეახსენებს თერჯოლელებს, მათ სამოქალაქო ვალდებულებას.

ლანა ჭანტურიძემ, პროექტის ლიდერთან ერთად წარმოადგინა მცირე პროექტის პრეზენტაცია...

ყოველივე ამის შემდეგ პროექტში ჩართული მონაწილე მოსწავლეები საუბრობდნენ პროექტის დიდ მნიშვნელობაზე, ისინი მიღებული ცოდნისა და განვითარებისათვის მადლიერებას გამოხატავდნენ პროექტის საერთო ხელმძღვანელის რუსუდან კოვზირიძის, ასევე ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია PIN-ის წარმომადგენლის, პროექტის კოორდინატორის ქეთი გოცირიძის მისამართით.

პროექტში ჩართულ საჯარო სკოლებს გადაეცათ დიპლომები, ხოლო პროექტში ჩართულ მხატვარს, კერძო სკოლა „მზეკაბანის“ კურსდამთავრებულს, ამჟამად მეორე კურსის სტუდენტ ლანა ჭანტურიძეს დიპლომთან ერთად გადასცეს ფასიანი საჩუქრები...

წარმოდგენილ პროექტს მაღალი შეფასება მისცეს და გულითადი, კეთილი სურვილები გამოხატეს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის საქმიანობის მიმართ პრეზენტაციაზე მოწვეულმა პედაგოგებმა: მადონა ჩხიკვაძემ (№2 საჯარო სკოლა); ელენე კუტივაძემ („მზეკაბანი“); დარინა ჭანტურიძემ (ღვანკითის საჯარო სკოლა); პროექტების მართვის მენეჯერმა ქეთი გოცირიძემ. თითოეულმა მათგანმა წარმატებები უსურვა პროექტის მონაწილეებს და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრს...

„გამოვიყენეთ განვითარებისათვის“—ასეთია პროექტის მონაწილე მოსწავლეთა რეფრენი...

მზია ცქიფურიშვილი

პრობლემა—დემოგრაფიული სიტუაცია პანდემიამ გაამძაფრა

იმ დღეს დიდი სიხარული იყო გოჩა გავაშელაშვილის ოჯახში, მის უფროს შვილს, მიხეილს, მესამე შვილი შეეძინა, მესამე ვაჟი. ადგნენ და მის უწმინდესობას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მოანათვლინეს.

გაზეთის რედაქციის მხრივ ეს გასახარელი ამბავი ქვეყანას მოვდეთ. ან კი უკეთესს რას დავწერდით, რაიონს და მთლიანად ქვეყანას კიდევ ერთი ქართველი შეემატა (გოჩა გავაშელაშვილის დიდ ოჯახზე, რომლის უმცროსი ვაჟი მირზაც მრავალშვილიანია, შემდეგში გამცნობთ უფრო დაწვრილებით).

გასახარელია ჩვენს მდგომარეობაში, აბა რა არის, სამწუხარო კი ისაა, რომ ასეთი ბედნიერი გამონათება ერთეული გახდა, 3 შვილს კი არა, ერთსაც იშვიათად აჩენენ ოჯახებში, ცალკე სოციალური მდგომარეობისა და ცალკე „კოვიდ-19“ პანდემიის შემოტევის გამო (და არა მარტო) საერთოდ ახლა, მედეასაშუალებებში, სულ უფრო ხშირად იწერება საგანგაშოდ, რომ „საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზეა“. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ დემოგრაფების ანზორ თოთაძის, ავთანდილ სულაბერიძისა და სხვათა წერილები, რომლებიც კარგა ხანია „არისხებენ ზარებს“ დემოგრაფიული სიტუაციის გასაჯანსაღებლად, გვიმარტავენ რა მოხდება თუ შობადობა აღმავალი გზით არ წავიდა.

ვნახოთ რა სიტუაციაა რეალურად დღესდღეობით საქართველოში. სურათი ასეთია, თუ 2019 წელს ბუნებრივი მატება 1 637 კაცი იყო, 2020 წელს 4 017-ით ნაკლები დაიბადა, ვიდრე გარდაიცვალა.

2020 წლის დემოგრაფიული მონაცემებით შარშანდელთან შედარებით შობადობა 3,7%-ით შემცირდა, სიკვდილიანობა კი 8,3%-ით გაიზარდა. შობადობის შემცირება რამოდენიმე წლის წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება, კოვიდმა კი ეს პროცესი უფრო დააჩქარა. მარტო კოვიდით გარდაცვლილთა ყოველდღიურმა რაოდენობამ ამ ბოლო თვეებში 60 ადამიანსაც კი გადააჭარბა, რაც საგანგაშოა.

უახლოეს წლებში შობადობის უფრო შემცირებაა მოსალოდნელი, რადგან კოვიდს ვებრძვით, მე-5 ტალღა გვიტევს და თუ ვაქცინაციაში მნიშვნელოვანი წინსვლა არ გვექნება, როგორც ამას მედიკოსები მოგვიწოდებენ, შემცირდება მოსახლეობის რაოდენობაც, რაც აუცილებლად აისახება მომავალ თაობაზე.

როგორც საქმეში ჩახედულები ასაბუთებენ 2019-2020 წლებში სიკვდილიანობის მატება პანდემიამ განაპირობა, თუმცა ეს პროცესი 90-იანი წლების შემდეგ დაიწყო. შემცირდა შობადობაც. მიზეზებად შემდეგი სახელდება—წლიდან წლამდე მიგრაციის დიდი მაჩვენებელი, შემცირებული ქორწინება, განქორწინების ზრდა, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, მუდმივი სტრესი... ახლა კორონავირუსიც დაემატა. პანდემია, მედიკოსებიც, ცდის მიუხედავად, დაუნდობლად ავლებს მუსრს მოსახლეობას მსოფლიო მასშტაბით. ასეა ჩვენთანაც. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ბევრად მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობა გვაქვს, ძნელი არ უნდა იყოს იმის გაგება, რომ ახალი ჭირის მოგერიებას განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ.

მეცნიერების აზრით, 2022-2023 წლებში ვაქცინაცია მასშტაბური გახდება, დედამიწის მოსახლეობის 80% აცრილი იქნება და ამან შესაძლოა „კოვიდის“ გაქრობაში დიდი როლი ითამაშოს. სხვა შემთხვევაში მისი პრევენცია შეუძლებელი იქნება. თუ დიდ სახელმწიფოებში მშვიდად შეუძლიათ, პროცესებზე დაკვირვება, საქართველოში კი საგანგაშო სტატისტიკა გვაქვს და ლოდინის დრო არ არის.

ამის პარალელურად საჭიროა ოჯახების დასახმარებლად პროგრამები გაიზარდოს. თუ მიიღწევა, რომ ოჯახი 2 ან 1 ბავშვს მაინც გაჩენს, მოსახლეობის რაოდენობა როგორღაც შენარჩუნდება. თუ შვილის გაჩენის საშუალო რაოდენობა 3-მდე გაიზრდება და ეს ნორმად იქცევა, დემოგრაფების განმარტებით, მოსახლეობა მოიმატებს. თუმცა მიზეზთა და მიზეზთა გამო, მით უფრო კოვიდპანდემიის დროს, სამი შვილის გაჩენას ბევრი ვერ გაბედავს.

70-იან წლებში საქართველოში უფროსი თაობის ადამიანებთან შედარებით, 300 000-ით მეტი ბავშვი ყოფილა, ერთ-ერთი ბოლო მონაცემებით კი მოხუცები ბავშვებს თითქმის 80 000-ით აღემატებოდნენ.

როცა შობადობა ასე მკვეთრად მცირდება, დემოგრაფების დასკვნით, საიმედო პროგნოზის საფუძველი არ გვაქვს, ფაქტობრივად, თაობა, რომელმაც ქვეყნის მომავალი უნდა შექმნას, ერი გაამრავლოს, ეკონომიკურ პრობლემებს ვეღარ უძლებს და ქვეყნიდან მიდის, ბევრი სამუდამოდ. ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ეს თაობა ქვეყნიდან აღარ წავიდეს. დავიიმედო თავი, რომ ხელისუფლება ამ მიმართებით მკვეთრ ნაბიჯებს გადადგამს.

წერილის მიზანიც სწორედ ისაა, რომ თითოეული ოჯახი, პოტენციური ახალგაზრდობა, რომლებმაც ოჯახები უნდა შექმნან, სახელმწიფოებრივი მოთხოვნების გათვალისწინებით მიუდგნენ საქმეს, გახდნენ მონაწილენი იმ უმნიშვნელოვანესი მისიისა, რომელიც ერის გამრავლებას და გადარჩენას გულისხმობს.

სახელმწიფომ კი, თავის მხრივ, მაქსიმუმი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ შესაბამისი გარემო და პირობები შექმნას ამ უპირველესი ეროვნული პრობლემის გადაჭრის უზრუნველსაყოფად.

სოფელი საზრუნავთა საზრუნავი

საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ევროპის (და არა მარტო) ის ქვეყნები არიან ძლიერნი ეკონომიკურად, რომელთაც მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობა აქვთ. სხვისი რა უნდა გვიკვირდეს, როცა იყო პერიოდები, როცა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობა ჰყვაოდა და არა მარტო საბჭოეთის ქვეყნების ბაზრები იყო გაჯერებული ქართული პროდუქციით, არამედ გარკვეული პროცენტი უცხოეთში იგზავნებოდა. ჩვენი რაიონიდან ეს იყო საკონსერვო ნაწარმი.

ახალი ცხოვრების შენების კვალობაზე გაუჭირდა ქართულ სოფელს და გაუჭირდა ქვეყანასაც. ხელისუფლების მხრიდან მიმდინარეობს მუშაობა სოფლის კვლავ აღორძინებისათვის, სოფლის მეურნეობის დარგი პრიორიტეტულ მიმართულებადაა დასახული. მოქმედებაშია არაერთი პროგრამა. შესაბამისად, რიგი პროდუქტებისა გადის უკვე ექსპორტში, მაგრამ, იმ სანატრელი დღიდან, როცა მსოფლიო ბაზრებზე ქართული სოფლის პროდუქცია სერიოზულ კონკურენციას გაუწევს უცხოეთისას და რაც მთავარია თავად აღარ დაგვჭირდება იმპორტირებული კვების პროდუქტების მოხმარება, ჯერ კიდევ შორს ვართ. ეს რომ მოხდეს სოფელს და სოფლის მეურნეობას სჭირდება მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ჯერჯერობით კი ჩვენებური გლეხკაცი მოსავლის მოსაყვანად საჭირო დროს კვლავ სასოებით ეძებს ტრაქტორს, კომბაინს, ჩალის და თივის მოსაცელ-დასაბრიკეტებელ მექანიზაციას... ამ უკანასკნელის მოხელთებაზე პირადადაც ძალიან გავწვალდი (კომბაინის შოვნაზე მეტად). დაბლა ზონაში ჰყოლიათ. იღბლად, აგერ რუფოთშიც შეუძენია ერთ ახალგაზრდა მექანიზატორს, მაგრამ ცა და ქვეყანა ჰყავდა რიგში, რომ მოაწია ჩემამდე სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა (მომდევნო დღეს წვიმა იყო გამოცხადებული), უნდა მომესწრო. უშველის ღმერთი, მოცელილი უკვე მქონდა და სულ რაღაც 1 საათში ნახევარი ჰექტარი დააბრიკეტა. მოვიდნენ ახლო-მახლოდან მეურნეები, ნახეს, მოიწონეს ძალიან. გაწამებული არიან ჩალის და თივის აღებით და აბა რა იქნებოდა. რომ დაიანგარიშეს მთლიანობაში, მაშინ კი ცოტა შეფიქრიანდნენ, დახვნა-დათესვას ფული, მოცელვას ფული, აღება-დაბრიკეტებას ფული, ტრანსპორტირებას ფული, ბევრი გამოდის და ჩვენი მწირი მოსავლის პირობებში რაღა დაგვრჩებაო. ყველა ოჯახს, რომ ექნება მექანიზაცია საკუთრად აი, ის იქნება კარგიო. სწორს ამბობდნენ რა თქმა უნდა.

ამასთან კავშირში ცნობილი მწერლის და უებრო მეურნის ცხონებული ოტია იოსელიანის ნაამბობი გამახსენდა (ხშირად იყო თერჯოლაში, ჩვენს სახელოვან საოპერო მომღერალ ვაჟა კუბლაშვილს მეგობრობდა).

იმერეთის მაშინდელ გუბერნატორს თემურ შაშიაშვილს საფრანგეთში წაუყვანია დელეგაცია. ბატონ ოტიას როგორ დატოვებდა. ჩასულან პარიზში თუ არა ოტიას აუყვანია თარჯიმანი, დაუქირავებია ტაქსი და უთხოვნია ქალაქგარეთ, რომელიმე ფერმერის მეურნეობა ეჩვენებინა. პირველივე შემხვედრ ფერმერთან შეუღიათ ჭიშკარი. თარჯიმანს აუხსნია საქმის ვითარება—საქართველოდან არის ჩამოსული, აქაურ ფერმერთა გამოცდილება აინტერესებსო. შეწუხებულა კაცი, მე რა გამოცდილება უნდა გავუზიარო, ერთი ფიორი ადგილი მაქვს, სულ რაღაც 150 ჰექტარი, აგერ მიიყვანე მეზობლად 500 ჰექტარი აქვსო.

რას ეძახის ეს ფრანგი „ერთ ფიორას“ გაგიჟებულა ოტია, მაგრამ არ შეუტყვია, ეგეც „საკმარისი“ იქნებაო და დაუწყიათ მეურნეობის დათვალიერება.

ბოლოს მანქანა-ტრაქტორთა პარკი უჩვენებია, ყველანაირი ტექნიკით აღჭურვილი. ოჯახის 5 წევრით ის ფერმერი თავად მართავდა ამ ტექნიკას და აგროვადებში უტარებდა ოპერაციებს მთელ 150 ჰა-ზე გაშენებულ კულტურებს. პროდუქციის რეალიზაცია გარანტირებულიაო, აუხსნია ფერმერს, სამეურნეო წლის დასაწყისში დადებული ხელშეკრულების თანახმად საჭირო დროზე მოვლენ და წაიღებენ დისტრიბუტორები. თავიდან სახელმწიფო დაგვეხმარა, სუბსიდიაც მოგვცეს და უპროცენტო სესხიც, ახლა მეურნეობა აწყობილი გვაქვს, ოჯახისთვისაც სამყოფად გვაქვს ყველაფერი და სახელმწიფო ბიუჯეტსაც გვარიან მოგებას ვაძლევთო.

მეორე მაგალითი, რომელზეც ქვემოთ შევჩერდები სულ ახალია: ჩემს მეზობელს რევაზ არჯევანიძეს, გასული წლის ერთ მშვენიერ დღეს, თურქეთში სამუშაოდ წასულმა დეიდაშვილმა შემოუღო კარი. დეიდაშვილი სხვა დროსაც სტუმრებია, მაგრამ ამჯერად მუგუზალივით შავი თურქი ახლდა თან. საიდან, რაფერ, როგორ გაკვირდა მასპინძელი. საიდან და მე ამასთან ვმუშაობ იზმირში. სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მინისაწარმო აქვს. უკვირს ჩვენი ოქროსავით მიწა-წყლის პატრონი ქართველები რატომ ვართ გადახვეწილი უცხოეთში, რა გაგვჭირვებია ასეთი. წამოგყვები, ჩემი თვალით მინდა ვნახო ყველაფერიო. უარს ხომ არ ვეტყოდი, ამასთან მუშაობით ვარჩენ აქ ცოლ-შვილს. სარფს რომ გამოვცდით ბათუმამდე და ბათუმის შემდეგ, გზის პირებზე ჩვენი სავარგულების თვალიერებით იყო გართული, ერთგან გადმოვიდა, გზის პირას მიტოვებულ ფართობში მიწა ხელით მოფშვნა და თავი აქეთ-იქით გადააქნია.

ძნელი მისახვედრი არ იყო რასაც ფიქრობდა. როგორც ჩანს თქვენ მეურნეობის მართვაში არავინ გეხმარებათ, თორემ ამდენი დაუმუშავებელი და გამოუყენებელი მიწა არ გექნებოდათო.

მაგათთან როგორ არისო, დაინტერესებულა მასპინძელი. ამისათვის 25 წლის ვადით უპროცენტო სესხი მიუციათ, მაგრამ ისე მალე აუწყვია საქმე, უკვე 15 წლის გასვლის შემდეგ დაუწყია სესხის გადახდა.

საწარმოში თავისიანებთან ერთად, ჩემსავით არაერთი ემიგრანტი ჰყავს დასაქმებული.

ეს ფაქტი მით უფრო საწყენია, რომ თურქეთმა სულ ბოლო 20-30 წელში განავითარა სოფლის მეურნეობა, ჩვენ—ქართველები ახლა მათ მოყვანილ პროდუქტებს მოვიხმართ, ვაძლიერებთ თურქ მეწარმეს და ვასუსტებთ ჩვენს ქვეყანას.

ასე, რომ ჩვენი სოფელი საზრუნავთა საზრუნავია. უნდა დაიწყოს ძირეული შემობრუნება სოფლისკენ. ხელისუფლებისა და ქართველი ბიზნესმენების მიერ რაც შეიძლება მეტი სახსრები უნდა სოფლის მეურნეობაში.

ასეთ შემთხვევაში სასურველი შედეგიც არ დააყოვნებს და ქვეყანა ეკონომიკურად აღორძინდება.

გვერდის ავტორი
ი. ერაძე

ჩვენი რაიონის წარსულის ქრონიკები...

ასე დავარქვით რუბრიკას, სადაც პერიოდულად გავაშუქებთ სხვადასხვა ინფორმაციებს ჩვენი რაიონის წარსულის ცხოვრებიდან და რაზედაც წერდა გაზეთი „თერჯოლა“ და ჩვენი წინამორბედები: „წინსვლა“, „საკოლმეურნეო სოფელი“ თუ „ჩხარის კოლმეურნე“.

ვფიქრობთ ეს საინტერესო იქნება მკითხველისთვის. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ ძველ ინფორმაციებში გაჟღერებული საკითხები და საქმეები კარგი სტიმული გახდეს ჩვენი დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური თუ პირადი ცხოვრებისათვის.

ამჯერად გთავაზობთ თუ რას წერდა გაზეთ „თერჯოლას“ წინამორბედი გაზეთი „წინსვლა“ 40 წლის წინ. აქვე ვაქვეყნებთ 2 წერილს „აფხაზური ქორწილი საპოვნელაზე“ და „დევნილობის პირველი წელი“, რომლებიც 17 წლის წინ დაიბეჭდა გაზეთ თერჯოლაში.



* * *

აფზახური ქორწილი „საპოვნელაზე“

„მოიყვანეს თამარ-ქალი აფხაზეთში დიელო-და“—აქ არ უმღერიათ, მაგრამ აგერ უკვე 13 წელია, თუმცა ისევ დევნილის სტატუსით საკუთარ სახლად მიჩნეულ „საპოვნელაში“ ოდიშ-აფხაზური ქორწილები იმართება. დევნილებმა: მირანდა პატარიძემ, ილონა მაცაბერიძემ, რუსუდან, თამარ, რაულ შონიებმა, ფატიმა ბერულავამ, თამილა ბერულავამ, ნატო თვალავაძემ, სოფიკო უბირიამ, ზაირა ზუზაძემ, მამუკა სახელაშვილმა, გოჩა სახელაშვილმა, ედემი თვალავაძემ, გულნარა კაკოიშვილმა, ირმა გოგიაშვილმა ქორწილი „საპოვნელაში“ გადაიხადეს. ბევრი მათგანი ოჯახით ისევ აქ ცხოვრობს, ბევრიც წავიდა, მაგრამ „მოწამეი ხარ, შენ საქართველო, ერო ფეხბედნიერო“, მათი ბედნიერების. ყველაფრის მასპინძელი იყო და იქნება „საპოვნელა“ დევნილთა საკუთარ სახლში დაბრუნებით გამოწვეული სიხარულის დადგომამდე.

* * *

ჰგავს და არც ჰგავს „ოდიშ-აფხაზური“ ქორწილი იმერულს. შერწყმული ტრადიციები სილამაზეს და ელფერს ჰმატებდა რიტუალს, რამაზ ლეთოდიანი 15 წლის იყო, როცა „საპოვნელაში“ მოვიდა, როგორც დევნილი, მშობლებთან ზაირა ქვარცხავა-ლეთოდიანთან და ბიძინა ლეთოდიანთან ერთად. აუხდენელი ოცნება საკუთარ სახლში დაბრუნებისა, ბატონმა ბიძინამ, ამ სამი წლის წინ მიწაში ჩაიტანა. იგი „საპოვნელაში“ გარდაიცვალა, ლტოლვილებმა და რაიონის საზოგადოებამ ერთნაირად მიაგო პატივი.

* * *

იმ დღეს რამაზ ლეთოდიანის და ოჩამჩირიდან დევნილის, ქუთაისში მცხოვრები შორენა ცეკვავას ქორწილი იყო. შორენამ გრძელი დევნილობის პერიოდი გადაიტანა და ახლა ბედნიერია, ოჯახის შექმნით კმაყოფილია.

რამაზი და შორენა „საპოვნელაში“ იცხოვრებენ. „ლტოლვილთა სახლს“ კიდევ ერთი ოჯახი შეემატა.

სურვილები ასე ჩამოყალიბდა: სიმრავლე, დიდხანს სიცოცხლე და ბედნიერება, ოცნება-საკუთარ სახლში დაბრუნებისა ახდენოდეთ, ემახსოვროთ დევნილობის პერიოდი... „ერთი მამალი აღვიძებდა ოდიშ-აფხაზეთს“—ამბობს პოეტი—ოღონდაც!

(გაზეთი „თერჯოლა“ 2007 წლის 15 თებერვალი, №2)

დევნილობის პირველი წელი

ზურაბ უბირია მეუღლესთან ლიანა ბერულავასთან და ორ, შვიდ და ათი წლის სოფოსთან და ზვიადთან ერთად ჭუბერზე გადმოვიდნენ. 17 დღე და ღამე იყვნენ გზაში, ბევრი ტანჯვა გამოიარეს, გაუჭირდათ, მითუმეტეს ზურაბი ნაომარი იყო. „ჭურვის ნამსხვრევებით მიყენებული ცეცხლსასროლი ჭრილობა ორივე ბარძაყის არეში“ დაადგინა სამხედრო საექსპერტო კომისიამ. ზურაბი იბრძოდა გულისტანის, ახალშენის, შრომის მისადგომებთან.

23 წელიწადია ზურაბი ოჯახთან ერთად „საპოვნელაში“ ცხოვრობს. მართალია აქვთ ბინაც, მაგრამ „საპოვნელას“ ვერ ელევა, იქ ხშირად ადიან. ზურაბის და ლიანას შვილები დაიზარდნენ. ზვიადი თბილისში ცხოვრობს და მუშაობს, სოფო ადრე გათხოვდა. აფხაზმა დედამთილმა აფხაზეთში წაიყვანა. სოფომ ძლივს მიაგნო თურმე სახლს, დანგრეულ-განადგურებული სახლის ფოტო ჩამოიტანა, სადღა იყო ბავშვობის ტკბილი მოგონება.

ჟუჟუნა ცხადაძე

გრიგოლ ორბელიანი და კავშირგაბმულობის განვითარება

გრიგოლ ორბელიანის აქტიური მონაწილეობით 1858 წელს საქართველოში საექსპლოატაციოდ გადაეცა სატელეფონო ხაზი თბილისი-კოჯორი. ორი წლის მერე მუშაობა დაიწყო ტელეგრაფმა თბილისი-ქუთაისი-ფოთი, კიდევ ორი წლის მერე თბილისს-ვლადიკავკაზს შორის. პირდაპირი სატელეფონო კავშირი მოსკოვთან კი 1863 წელს. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა, რამაც დიდად განსაზღვრა საქალაქთაშორისო კავშირგაბმულობის შემდგომი განვითარება. გრიგოლ ორბელიანი ხელმძღვანელობდა რუსეთსა და სპარსეთს შორის საფოსტო კავშირგაბმულობის საკითხებს **(გაზეთი №107).**

თერჯოლელი მექანიზატორები ათბასარში

რაიონის მექანიზატორთა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა დახმარებოდა ათბასარის რაიონს, რომელთანაც მეგობრობა გვაკავშირებდა. მექანიზატორთა შვიდკაციან ჯგუფს ხელმძღვანელობდა საქსოფტექნიკის მთავარი ინჟინერი ჯუმბერ მაჭარაშვილი. ამ ჯგუფის მიერ მოიმკა 1595 ჰექტარი პურის ყანა, რამაც 1360 ტ. პურის მარცვალი შეადგინა. ყველა საქმე მაინც ციფრით იზომება, კაცი კი იმით რამდენს იტვირთებს ცხოვრებაში. ილუშა პერანიძე, სანდრო ქავთარაძე, კოტე კვეტენაძე, სოსო ნებიერიძე, ჯემიკო დათუაძე, მიშა ვარდოსანიძე, გრიშა ხოხიაშვილი აი ისინი ვინც გამოიჩინა თავი და დილიდან საღამომდე მკიდა ოქროსფრად მოლივლივე თავთავებს. მათ დაამტკიცეს ქართველობა შორს, მაგრამ ახლობელ ყაზახეთში. **(გაზეთი №118)**

მივხედოთ მამა-პაპურ წისქვილს

წისქვილი, რომელიც მდინარე ჭარჩხულაზე მდებარეობს სასოფლო საბჭოდან (ბარდუბანი) არცთუ ისე შორსაა, მწყობრიდან არის გამოსული, მოსახლეობის თხოვნაა მივხედოთ ღელის წისქვილებს. **(თერჯოლა №143)**

ასე ვიზარდეთ

საკავშირო ფესტივალის ლაურეატმა, თერჯოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „იმერეთმა“ წარმატებით დაიცვა ჩვენი ქვეყნის ღირსება ინგლისის ქალაქ ბიმინჰემის მსოფლიო ფოლკლორის ფესტივალზე და გამარჯვებული დაბრუნდა.

დემოგრაფიის პრობლემები

მოსახლეობის დემოგრაფიული პროცესის შესწავლის მიზნით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან 1976 წელს შეიქმნა დემოგრაფიის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების სამეცნიერო საბჭო, რომელიც სწავლობს საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მატების და სიკვდილიანობის სტრუქტურას, ოჯახის სულადობრივ შემადგენლობას, ქორწინება-განქორწინებას, მიგრაციას, შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენებას, მოსახლეობის ქალაქსა და სოფელს შორის გადაადგილებას, პროფესიულ სტრუქტურას და სხვა საკითხებს.

ამ საკითხებზე ექსპედიციები ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა რაიონებში. რესპუბლიკაში ვითარება ასეთი იყო: უახლოესი თაობის დედებს ჰყავთ 1-2-3 ბავშვი, ამ დედების დედებს 2-3-5 ბავშვი, წინა თაობის დედებს (დღევანდელი დედების ბებიებს) ჰყავდათ 3-5-7 ბავშვი.

თერჯოლის რაიონში ანკეტური მონაცემები მოპოვებულ იქნა: მოსახლეობაში და ობიექტებში: რაიუნივერმაღი, საკონსერვო კომბინატი, ცენტრალური საავადმყოფო, ჩხარის ფილების ქარხანა, სამკერვალო ფაბრიკა, თერჯოლის ღვინის კომბინატი, საკონსერვო ქარხანა და სხვა ობიექტებში.

(გაზეთი №91)

* * *

უკანასკნელ პერიოდში რაიონში აიგო საშუალო და რვაწლიანი სკოლის 11 ახალი შენობა. აშენდა და გაიხსნა 16 საბავშვო ბაგა-ბაღი, სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი, ახალგაზრდების სამსახურშია ცენტრალური სტადიონი 3000 ადგილზე, 23 ფეხბურთის, 34 კალათბურთის, 30 ფრენბურთის და 6 ხელბურთის მოედანი, 12 სპორტული დარბაზი, სასროლი ტირი, დაიწყო ახალი სტადიონის მშენებლობა 10 000 მაყურებელზე. დაბის ცენტრში აშენდა არქიტექტორთა სახლი, საფინანსო განყოფილება, სახლდაზღვევის, სალაროს, კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის, სახბანკის რაიონული განყოფილების შენობები, აიგო ქუთაისის მაუდის ფაბრიკის თერჯოლის საქსოვი უბნის მუშა-მოსამსახურეთა ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლი, მალე დამთავრდება 3 ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მეღვინეობის კომპლექსის მშენებლობა, ექსპლოატაციაში შევა შამპანური ღვინოების ქარხანა, კონიაკის ქარხანა, განსაზღვრულია მეღვინეთა საცხოვრებელი ქალაქის გაშენება 1300 მცხოვრებზე.

1975-80 წლებში რაიონში ახალ მშენებლობებზე 17 მილიონი მანეთი დაიხარჯა.

(გაზეთი №144).

პასუხები გაზეთის კრიტიკულ გამოსვლებზე

1981 წლის 6 თვეში „წინსვლის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხა 10-მა წარმობა-დაწესებულების ხელმძღვანელმა. ისინი წერდნენ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება, იქვე იყო დასახული ნაკლოვანებების გამოსწორების გზები.

ლიტერატურული გვერდი

ილია—184; გალაკტიონი—130; მურმან ლებანიძე—99

2021 წლის ეს თვე ანუ ნოემბერი, იგივე ღვინობისთვე სამი დიდი ადამიანის: წმინდანად შერაცხული წმიდა ილია მართლის, ერის მამათ წოდებული ილია ჭავჭავაძის და ქართული ლექსის ორი ოსტატის—გალაკტიონ ტაბიძის და მურმან ლებანიძის დაბადების თვეა, ილია ჭავჭავაძე 1937 წლის 8 ნოემბერს დაიბადა, გენიალური გალაკტიონი 1891 წლის 19 ნოემბერს, ხოლო მურმან ლებანიძე 1922 წლის 14 ნოემბერს.

ილია ჭავჭავაძე

განუსაზღვრელია ილია ჭავჭავაძის, გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, პუბლი-

ცისტის, ჟურნალისტის, პოლიტიკოსის და მწერლის როლი მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში. მან გადამწყვეტი წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შექმნასა და ლიბერალური ფასეულობის გავრცელებაში. იგი სათავეში ედგა თერგდალეულებს, თაობას, რომლებმაც ქართულ ინტელექტუალურ სივრცეში მოდერნული, ევროპული იდეები და ხედვები შემოიტანეს. ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაარსდა და სრულიად ახალი სიტყვა თქვა ქართულ ჟურნალისტიკაში მის მიერ გამოცემულმა გაზეთებმა „საქართველოს მოამბემ“ და „ივერიამ“. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში პირველი ფინანსური დაწესებულების-სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შექმნაში, რომელსაც 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა. მანვე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში. მისი თაოსნობით გაიხსნა არაერთი სკოლა, სადაც სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რამაც საქართველოში რუსიფიკაციის პროცესი შეაჩერა.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკას ქართული ეროვნული და სამოქალაქო ცნობიერების ფორმირებაში უდიდესი როლი მიუძღვის. მის პუბლიცისტიკაში ასახულია ევროპული იდეები, ხედვები, რომელთა გაცნობაც ჟურნალ-გაზეთების საშუალებით მთელი ქართული საზოგადოებისთვის ხდებოდა. მნიშვნელოვანია მისი შეხედულებები თვითმმართველობის, სასამართლო სისტემის, ეკონომიკის, სოციალური წესრიგის, ადამიანის უფლებების, ქალთა უფლებების, სასკოლო და უმაღლესი განათლების, სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ.

აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის წერილები საგარეო საკითხებზე, რამაც ქართული საზოგადოება მეტად დააახლოვა დასავლეთსა და ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან. აღსანიშნია, რომ ევროპელობის, საქართველოს ევროპული მომავლის ნარატივი ყველაზე მკაფიოდ პირველად ილია ჭავჭავაძისა და სხვა თერგდალეულთა ნააზრევში გამოჩნდა.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება ეროვნულ და სოციალურ მოტივებზეა აგებული. ნაციონალურ საკითხთან მიმართებაში მისი ნაწერები, როგორებიცაა: „აჩრდილი“, „ქართვლის დედას“ და „დიმიტრი თავდადებული“ სამშობლოსადმი თავგანწირვასა და მის უპირობო სიყვარულს ქადაგებს. სოციალურ საკითხებთან მიმართებაში ილია ჭავჭავაძე თავისი ნაწარმოებებით, როგორებიცაა: „რამდენიმე სუ-რათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია-ადამიანი?!“ და „ოთარაანთ ქვრივი“ ილაშქრებს სოციალური უთანასწორობის და ფეოდალური ღირებულებების წინააღმდეგ.

1907 წლის 12 სექტემბერს ილია ჭავჭავაძე წიწამურთან მოკლეს. ილიას მკვლელობის დეტალები დღემდე კამათის საგანია.

გენიალური პოეტის
გალაკტიონ ტაბიძის 130-ე წლისთავისათვის



რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე გვიამბობს: „გალაკტიონ ტაბიძე ნიჭიერი თეატრალიც იყო. სპექტაკლს არ გამოტოვებდა. მე რომ მარჯანიშვილის თეატრში ვმუშაობდი, ის, იქვე, თეატრის გვერდით ცხოვრობდა და ხშირად ჩემს სპექტაკლებსაც ყურობდა. მიქებდა ნამუშევრებს, ჩემთვის ეს დიდი ბედნიერება იყო...“

ამ ამბავმა და დიდი პოეტის სიყვარულმა შთაგვაგონა მისი შემოქმედებიდან შეგვედგინა და მკითხველისათვის შეგვეთავაზებინა წინამდებარე აკროსტიქი:

გ—ზად დაღლილი არავის უნახივარ.
ა—ტმის დღე იდგა, ვით ნაზი ქალი.
ლ—ექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტეგრალები.
ა—სე ჩუმი, ასე წყნარი ცა ჯერ მე არ მახსოვს.
კ—ოშკებს სიზმარეთისას ნისლი გადაეცალა.
ტ—ყდება, ნანაობს ეთერი ჩქარი, ნანაობს ქარი და მიქანაობს.
ი—გი, ვინც მიყვარდა დიდი სიყვარულით ფრთებით დაიფარე ამას გევედრები.
ო—ცდა ექვსი საუკუნის წინათ ჰქმნიდნენ ქართულ ანბანს.
ნ—ეტა ვინ ააგო, რა ნიჭმა ააგო, რა მადლმა ააგო სვეტი ნიკორწმინდა?
ტ—ოტებს ქარისას გადაჰყვა მარტი, თეთრ ტანსაცმელში მე მოვირთვები.
ა—მაღლდი სულო, თეთრ აკლდამაზე—მშვენიერების ლექსის მქებელი.
ბ—აღი ყელამდე ზამბახებით იყო ნაბური.
ი—მ ატმებს გაუმარჯოს იმ ატმის ყვავილებს!
ძ-ლიერ, ძლიერ, ძლიერ ვეტყვი ზენა ქარს, იმგვარადვე ხმით იმგვარსავე ზარს.
ე—ს მშობლიური ქარია, ეს სოფელია მძინარე, არ ვიცი რად მიხარია ვაზი, ყანები, მდინარე.

ძვირფასო მკითხველო:

ვიამაყოთ, რომ განგების ნებით ჩვენი წინაპრები „26 საუკუნის წინათ ჰქმნიდნენ ქართულ ანბანს“;

რომ მათ დაგვიტოვეს ვარძია და უფლის ციხე: დავით-გარეჯის ქრისტიანული სალოცავის მთელი კომპლექსი;

რომ საუკუნეთა ღელვებს გამოატარეს ჩვენი ქვეყანა;

ახლა ჩვენ გვმართებს სიმტკიცე—ჩვეული სიყვარულითა და ერთგულებით დავუდგეთ სამშობლოს;

„ტოტებს ქარისას“ გავატანოთ შური და მტრობა;

რომ „მტერმა მოსისხარმა“ არ დაგვცინოს, აბუჩად არ აგვიგდოს...

მივცეთ ხელი-ხელს, რომ მხნედ ვიყოთ;

რომ გზად დაღლილი არავის დავენახოთ!

☞ 12

სათაურისხელა მოთხრობები

უფლის სახლთან

აქ, ამ სახლში მეფისტოლებს უკითხავდნენ ეპისტოლეს.

პარალელი

„შენც, ბრუტუს!?“
„გუდუნა, ეს რა ჰქენი?!“

პაიკი

მოჭადრაკენი ადვილად იმეტებენ პაიკს შესაწირად!

არა და... მხოლოდ ამ „ხელწამოსაკრავ“ ფიგურას ძალუძს დედოფლად გახდომა!

ეჭვი

მხოლოდ ღმერთმა უწყის მემატიანენი როგორი სიზუსტით აღუწერენ მომავალ თაობებს ისტორიის „კუკუ-დამალობანას“ თავგადასავლებს.

პწკარები

მდიდრები შობენ ეჭვს.

***

დააკვირდით ჰაი-ჰარაზე მაქებარ ადამიანს—სად „უკაკუნებს“.

***

მთებს მხოლოდ შორიდან აქვთ „ფერი დაბინდულ ქლიავის“.

***

წიგნის ავსა და კარგზე რომ ვსაუბრობთ, ამაზეც ვიფიქროთ—როგორი მკითხველი ვართ?

***

თავს ვიკლავთ იმისათვის, რომ როგორმე სიბერემდე მივიდეთ, მერე ეს აღარ მოგვწონს.

***

მიწისძვრისას ვიღას ახსოვს წელის ტკივილი.

***

დილით ადრე სარკმელს რომ გამოვაღებთ პირველი ის, რაც გვახარებს გრილი სიო და შუქია მეზობლის ფანჯრებში.

***

ადამიანს პაწია ყვავილიც იზიდავს და მრისხანე უშბაც.

***

ღარიბის ყოველი დღე მოუსვენარია. მდიდრის—უფრო მეტად.

***

კამათს ჭეშმარიტებამდე მივყავართ. ზოგჯერ საავადმყოფომდეც...

***

მიზანდასახული ადამიანები ლაბირინთებს არ უკრთიან.

***

მეგობრობა დინჯად მოიკვლევს გზას. სიყვარულმა მოვარდნა იცის!

***

კბილის კბილზე დაჭერა გამორიცხავს ენის ჭარტალს.

***

„ლექსი მეწყერი“ შეკვეთით არ იწერება.

***

თუ შური არ გაწუხებთ—ბედნიერი ხარ.

***

მარტივი არ ნიშნავს უბრალოს.

***

ბავშვებს მუდამ ვაკვირვებთ გაუთავებელი ჩიჩინით.

***

ავყია? ნუ დაძრახავთ—ეგეც ეყოფა.

***

სიზარმაცე კლავს ნიჭს.

***

სწავლისთვის სიცოცხლე არ გვყოფნის...

მოამზადა ნ. იშხნელმა

ცრემლიანი გაცილება

დათო კვეტენაძე—ლამაზი ბიჭი...

ჰო, ლამაზი იყო, კეთილსახოვანი სულით და ხორცით. განათლებული და წიგნიერი. ოჯახიდან მოდგამდა ტრადიციად. რაფინირებული ინტელიგენტი, კეთილმოსურნე და მოსიყვარულე. უხმაუროდ საქმის მკეთებელი. მაღალი რეიტინგის იურისტი.

სრულიად ახალგაზრდამ მოასწრო თავისი ადგილი დაემკვიდრებინა საზოგადოებაში. ის უმალვე იპყრობდა ყურადღებას მინდობილი საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით, ერუდიციით, კულტურით, ადამიანური ხიბლით. სწორედ ასეთად დაამახსოვრა თავი საერთაშორისო ორგანიზაცია „წითელი ჯვრის“, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს—პარლამენტის აპარატის, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა და ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომლებს. ფლობდა უცხო ენებს, რაც კიდევ უფრო ზრდიდა მის სამოქმედო არეალს.

მერე...

მერე რაც მოხდა, ეს მხოლოდ დათოს მშობლების, ძმებისა და ახლობელ-ნათესავებისთვის როდი იყო დიდი ტკივილი და თავზარდამცემი—დედაქალაქის ფართო საზოგადოება შეძრა ამ სამწუხარო ამბავმა.

დათო კვეტენაძე—რჩეული ბიჭი გულწრფელად დაიტირა მისმა მშობლიურმა თერჯოლამ, თბილისმა, დიდმა სამეგობრომ...

ვუსამძიმრებთ ყველას.

დათო, შენი გული მუდამ სიკეთისთვის ძგერდა. 35 წლის ასაკში რატომღა გიღალატა?

დათო, ყველა აგვაფორიაქე და აგვატირე...

შენი დავიწყება არ იქნება...

უფალმა დაგიმკვიდროს ცათა სასუფეველი.

მეგობრები, ახლობლები

ნუგზარ გამყრელიძე ოჯახით დიდი მწუხარებით იუწყება

დათო ალეკოს ძე კვეტენაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ლიტერატურული გვერდი

ილია—184; გალაკტიონი—130; მურმან ლებანიძე—99

2021 წლის ეს თვე ანუ ნოემბერი, იგივე ღვინობისთვე სამი დიდი ადამიანის: წმინდანად შერაცხული წმიდა ილია მართლის, ერის მამათ წოდებული ილია ჭავჭავაძის და ქართული ლექსის ორი ოსტატის — გალაკტიონ ტაბიძის და მურმან ლებანიძის დაბადების თვეა, ილია ჭავჭავაძე 1937 წლის 8 ნოემბერს დაიბადა, გენიალური გალაკტიონი 1891 წლის 19 ნოემბერს, ხოლო მურმან ლებანიძე 1922 წლის 14 ნოემბერს.

გალაკტიონ ტაბიძე

ძნელად გვეგულება ქართველი, ვინც არ იცნობდეს გალაკტიონის შემოქმედებას. იგი წარსულში და დღესაც არაერთი ადამიანის შემოქმედებითი მუზის გაჩენის მიზეზი გამხდარა.

დიდი მგოსნის საიუბილეოდ გთავაზობთ ჩვენი გაზეთის ერთგული მკითხველისა და მეგობრის, ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედის ᲒᲔᲚᲣᲙᲐ ᲑᲣᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ რამდენიმე ლექსს, რომელთაგან ორი მან გენიალურ გალაკტიონს და მის შემოქმედებას მიუძღვნა.

„ლურჯა ცხენების“ კითხვის შემდეგ

(ვუძღვნი ქართული ლექსის მესაიდუმლეს გენიალურ გალაკტიონს)

გალაკტიონის ლურჯა ცხენთა
ვინთები ცქერით,
ნისლის ჩანჩქერებს მიაპობენ
გზებზე მქროლავნი,
და დაკარგული მიბრუნდება
მე ყველა რწმენა,
მინდა მივუძღვნა „ლურჯა ცხენებს“
ეს აღმაფრენა!
ლურჯა ცხენები მიაპობენ წინ აღმდგარ
ქარებს,
და ეს ცხენები მაგონებენ მის იდეალებს!
შორს, შორს წვდებიან დიდი მგოსნის
ფიქრნი მსრბოლელნი,
ლურჯა ცხენებს კვლავ ამ კლდეების
იქით მოველი!

უსიყვარულოდ

(„თვით უკვდავებაც არ არსებობს უსიყვარულოდ.“ გალაკტიონი)

დღე სიყვარულის დასაწყისია
ლურჯი ვარდებით,
შემიყვარდები.
მიიღე გული, განა სხვისია,
ეს ყვავილები ველურ მთებში ხარობენ
მხოლოდ
სანუკვარ ფერით მესმის და ვმღერი,
რომ გამარჯვება დამრჩება ბოლოს,
სიყვარულია მზის სხივებში ჩაფლული სხივი.
არის სასაცილო:
„გთხოვ, გამაცილო!“
და ვიმღეროთ მგოსნის მოტივი
ილოცე, გულო, სიყვარული შეჰფიცე გზაზე,
უტყუარ ფიცით.
მე ყველა ვიცი.
გული უბრალოდ გაიმიზეზე,
ტრფობის სურვილი გვკლავდა ბოლომდი;
მწყდებოდა გული და დაჟანგული
მახვილით მტერთან მაინც ვომობდი.
მზე იჩქაროდა, პაემანზე დააგვიანდა,
მეც ვენთებოდი
მზეზე ვთბებოდი!
მდინარის პირას ხის ჩრდილებში მაშინ
დამლანდა.
აბა ქვეყანა რა იქნება უსიყვარულოდ?
ცივი პლანეტა და არ თქვათ მეტად,
რომ უმისოდ რამ შეასრულო.
ქვეყნიერება იცოცხლებს მანამ,
არსებობს სანამ
ფერფლი ეროსის,
ლექსსაც მიტომ ვწერთ საქართველოში.

მითხარი ვისია?

თუ ცა მრისხანეა
და თან ბობოქარი,
თუ ზღვის ტალღებია
ზვირთი დაუწყნარი.
მაშინ ვინ იქნება ჩემი მოალერსე,
მითხარი, ძვირფასო,
თესლი სადა თესე,
თესლი სიყვარულის,
თესლი წრფელი გულის,
ვისი საგანძური იყო დამალული,
მაგ შენი თვალების მყუდრო არეში,
შენს გულის ჭიდილთან ვინაა თარეშში?
და თუ არაა, მაშინ ხუმარაა,
ჩემი სულ არაა, ეგ შავი თვალები.
ვისია მითხარი, ხმა ტკბილი, ხმა წყნარი,
თორემ აზვირთდება, გული ბობოქარი.
გული აზვირთდება, გული აინთება,
გულს ააფეთქებს ეგ შავი თვალები!!!
მითხარი, ვისია??!
შხამიც კი გისვია,
ჩემი თუ არაა, მაშ, ალბათ სხვისია.

უსათაურო

ოდესღაც, ოდეს ოდიშის ოდა
იბურებოდა იისფერ ისლით
ქარი ქარაფებს ქუშავდა, ქროდა,
ნაზი ნარნარით ნაბავდა ნისლით.
და დადიანის დარაბთან დამდგართ,
ქალიშვილების ქადილი ქართან,
ავარდნილ აჩრდილს ალმურად აჩნდა,
სიტურფე სხივთა, სიავე სვავთა.

პოეტური არტი

მე ხშირად ვფიქრობ ცხოვრების გზაზე,
აზრები დამდევს ჯერ განუცდელი;
დღე მოსაწყენი ვით გალამაზდეს,
როგორ ავავსო ვნებით ფურცელი.
ნაცნობი ბაღი, ვარდთა წალკოტი
კვლავ გაეშალა თვალს ფიანდაზად, შიგნით
შევედი გულგანაკოტი
და თან შემომყვა მშიერი კატა,
დაოსებოდა შიმშილით ფეხი
ეჰ, ერთ დროს მატყდა მე ლექსის მეხი.
ბედისწერა ჰგავს გაქნილ ავაზაკს,
მე ხშირად ვფიქრობ ცხოვრების გზაზე
და ქუჩა-ქუჩა დავიარები
ფიქრმა წამიღო საწყალ კატაზე
და მომემატა ნაიარევი.
ვისაც ვაჩვენე მე ლექსთა ძალა,
ყველამ დაიწყო მიეთმოეთი,
მავანთ სიბრიყვე, ვგრძნობ, მოეძალათ,
თორემ სხვებზე რით არიან მეტნი?!
ერთფეროვნება, რა ვქნა, არ მიყვარს
სუფრასთან მთხოვენ სიტყვას აზარტით,
ნაცნობი კატა კეთილ ბავშვს მიჰყავს,
ვიცი ფერები პოეტურ არტის.
აზრი მოვიდა აქ დიდებული
კაცი ბევრია გონებით მოკლე,
მგოსანი დარჩი ამაღლებული,
გახსოვდეს, დაღმართს აღმართი მოსდევს!

სტრიქონები მურმან ლებანიძეზე

საშუალო სიმაღლისა იყო. თუ არ იცნობდით არც არაფრით მიიპყრობდა ყურადღებას... მაგრამ, იყო ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო. სხვანაირი მურმან ლებანიძე ვერც წარმოგვედგინა. ხმაც... თხრობაც თავისებური ჰქონდა.

სადღაც, ოთხმოცდაათიანი წლები იქნებოდა რაჭაში მიმავალი თერჯოლაში „დავიჭირეთ“... ჯერ იუარა, მეჩქარებაო...

მერე აღარ მიდიოდა...

14 ნოემბერი მისი დაბადების დღე. აგერ წავაწყდი ძველ უბის წიგნაკში. ეს პწკარებიც ახლა იწერება:

შენ, რო ლექსს წერდი, მურმან,
შენ რო სიტყვას ეალერსებოდი...
სხვანაირად წერდი!
შენებურად ალაგებდი სტრიქონებს!
კითხულობდი განსხვავებულად. მახვილს უადგილო ადგილს მიუჩენდი ხოლმე ბინას და უმალ ვიგრძნობდით—სწორედ იქ, იმ „უადგილო“ ადგილს იყო სწორედ მისი ადგილსამყოფელი!
ზენაარმა ისურვა ყოფილიყავი ისეთი, როგორიც იყავი!
გეწერებოდა და წერდი ისე, როგორც გსურდა!
შენი ლექსი მუდამ გვშიოდა!
ანგელოზები კითხულობდნენ შენს ლექსებს ცაში!
ახლა შენ ცაში ხარ.



მაქედან დასცქერ—
„კარზე ბოქლომდაკიდებულ რაჭას“... და, გვეძახი:
„სხვა სამშობლო არ გამაჩნია!“
სულ შიშობდი კაცი: „ვაი, თუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოს!“..
საქართველოს ტკივილი გჭირდა!
წითელყდიან წიგნს ვფურცლავ ახლა შენსას, ხელიდან ხელში, ხელიდან ხელში „სიარულით“ დაღლილს და ციდან მუზების საუფლოდან ვისმენ მონატრებულ ხმას:

„უფლისციხესთან სისხლისფერი ყაყაჩოს წვეთი
არა დაღვრილის—დასაღვრელის, ალბათ მაცნეა.
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი არ გამაჩნია!
მე დავინახე სვეტიცხოვლის თორმეტი სვეტი
თოთხმეტი ციხე ზეგნებიდან ლაჟვარდს გასჩრია,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არ გამაჩნია!
მშვენიერია ორ ზღვას შუა კავკასის ხედი
და კითხვა: „ვინ ვის?“ ბებერ გულში ლახვრად მაჩნია,
არავითარი სხვა სამშობლო ამაზე მეტი
არავითარი სხვა გზა, სხვა ხსნა არ გამაჩნია!

კორესპოდენცია მოამზადა ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲒᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ

ШПС „ თერჯოლა“
გამომცემელი
ᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐᲜ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 91 24 14
ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ქ. თერჯოლა,კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი,ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872